# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 სექტემბერი, 2012 წელი.

№179 (7055)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რას ნიშნავს დამშვიდებული სააკაშვილი?

3



სააკაშვილმა დაინახა, რომ არც ისეა საქმე, როგორც მას არწმუნებდნენ ან როგორც სწამდა, დაინახა, რომ ქვეყანაში მის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს და ადამიანთა სულ უფრო მეტი რაოდენობა თამამად გამოთქვამს მის მიმართ დამოკიდებულებას, 9 წლის განმავლობაში წარმოებული პოლიტიკის მიმართ განწყობას, თვითონაც ცდილობს, რომ როგორმე დააბალანსოს ეს ვნებები და მშვიდი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კალაპოტში მოაქციოს. ვფიქრობ, ეს ორი ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს, რამაც განსაზღვრა მისი ბოლო განცხადებები.

## „ჩვენი ძმების სისხლის არც ერთ წვეთს არ შევარჩენთ პრეზიდენტს!“

5

ლოპოტის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, რასაც ქისტი და ჩეჩენი ახალგაზრდები შეეწირნენ, ეთნიკური ქისტები საქართველოს ხელისუფლებას შურისძიებით ემუქრებიან



## ამერიკელ კონგრესმენთა ერთობლივი განცხადება

2

## ოქტომბრის არჩევნები – გადამწყვეტი გამოცდა საქართველოსთვის

8

## სწავლება კავკასიაში რეგიონის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის



## ხელისუფლება „სპეციალურ უბნებს“ არაკანონიერად ხსნის

2




7

## კვიტაშვილის ზღაპრები: ვაცალოთ ანდროს!

# ამერიკელ კონგრესმენთა ერთობლივი განცხადება

**ამერიკელმა** კონგრესმენებმა — ჯოან ემერსონმა, მაიკ თერნერმა, მაიკ როსიმ და ბენ ჩენდლერმა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

როგორც კონგრესმენები აღნიშნავენ, ისინი მხარს უჭერენ საქართველოში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას.

— საქართველომ გრძელი გზა გაიარა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, რომელსაც სათავეში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა" ედგნენ. ფაქტები საკუთარ თავზე თავად საუბრობენ — დანაშაული იკლებს, კორუფცია შემცირდა და ბიუროკრატიული პროცედურები მნიშვნელოვნად გამარტივდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ქართველი ხალხი მთავრობის მიერ გატარებული ძლიერი და მუდმივი რეფორმების მატერიალურ შედეგს ხედავს. საქართველომ და მისმა ლიდერებმა გააკეთეს ნათელი და ერთმნიშვნელოვანი არჩევანი, გაიზიარონ და პატივი სცენ დემოკრატიულ ღირებულებებსა და იდეალებს, რომლებიც შეადგუვებულია ნატოს სრულფასოვანი წევრობის მისაღწევად. ქართულმა სამხედრო დანაყოფებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საზღვარგარეთ ნატოს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში, მათ შორის — ავღანეთსა და კოსოვოში. მათი პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხი, ასევე მისიების შესრულებისას გაღებული მსხვერპლი, რომლებსაც ისინი დღემდე იღებენ, ნათლად უჩვენებს, რომ საქართველოს, როგორც ნატოს მომავალ წევრს, ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში საქართველომ შექმნა ძლიერი სისტემა, რათა ხელი შეუწყოს თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო პროცესს. არჩევნებს მსოფლიოში აღიარებული სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლები დააკვირდებიან, რათა დაადასტურონ, რომ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას პირნათლად დაცულია თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპები, უმაღლესი ხარისხის საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების შესაბამისად. ამ დამოუკიდებელი არბიტრების სიტყვებს ყველამ უნდა მოუსმინოს და პატივი სცეს, — ნათქვამია კონგრესმენების განცხადებაში.

მათივე თქმით, მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი საკუთარ არჩევანს გააკეთებს, შედეგებს კომპეტენტური ორგანოები შეაჯამებენ და სადამკვირვებლო ჯგუფები შეაფასებენ, მოუწოდებენ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, პატივი სცენ შედეგებს, გვერდით გადადონ განსხვავებები და ითანამშრომლონ მშვიდობიანად, ქვეყნის შემდგომი წინსვლისთვის.

— ნებისმიერი მცდელობა, რომელიც არჩევნების შემდგომ არეულობის გამოწვევას ისახავს მიზნად ან მიმართულია ელექტორატის პოლიტიკური ნების წინააღმდეგ, ქართველი ერის მიმართ სერიოზული უსამართლობა იქნება და, რა თქმა უნდა, გახდება ძლიერი კრიტიკის საფუძველი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე — მის საზღვრებს გარეთ. მსოფლიო მომავალ არჩევნებს დიდი ყურადღებით აკვირდება. საქართველო და მისი რეპუტაცია საერთაშორისო საზოგადოებაში საფრთხის წინაშე დგას — ეს არჩევნები საქართველოს დემოკრატიისთვის სერიოზული გამოცდა იქნება. ეს არის შანსი ყველა ქართველისთვის, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, რათა დაუმტკიცონ მსოფლიოს, რამდენად შორს წავიდნენ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში და ხაზგასმით აღნიშნონ, რომ უკან სვლა მათი არჩევანი არ არის. ჩვენ ფიქრებით ქართველი ხალხის გვერდით ვართ, რამდენადაც ისინი ემზადებიან იმისთვის, რომ ხმა მისცენ მშვიდობიან და წარმატებულ მომავალს, რის მიღწევასაც ამდენი მსხვერპლი შესწირეს და რასაც ნამდვილად იმსახურებენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველი ხალხის წინააღმდეგობას რუსეთის ძალისხმევის მიმართ — დაამხოს საქართველოს რთულად მოპოვებული დემოკრატია, — აღნიშნავენ ამერიკელი კონგრესმენები.

## ინფორმაცია

### ხელისუფლება „სპეციალურ უბნებს" არაკანონიერად ხსნის

**კოალიცია** „ქართული ოცნების" დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით , სპეციალური უბნები ისეთ დაწესებულებებშია შექმნილი, რომლებიც არ წარმოადგენენ სამხედრო ნაწილებს, რამაც, მისი თქმით, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით 70 სპეციალური უბანია შექმნილი და ამ უბნების სიაში 58 ათასზე მეტი ადამიანია შეყვანილი.

მისივე თქმით, საარჩევნო კომისიებმა შექმნეს სპეციალური უბნები ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც არ წარმოადგენენ სამხედრო ნაწილებს და ამის მაგალითად მან დიდუბის საარჩევნო ოლქში ორი სპეციალური საარჩევნო უბნის შექმნა მოიყვანა.

ხმალაძის განცხადებით, სპეციალური უბნები შექმნილია თავდაცვის სამინისტროში და მისი განმარტებით, სამინისტრო არ არის სამხედრო ნაწილი. ხმალაძის თქმით, ერთი სპეციალური საარჩევნო უბანია შექმნილი დაცვის პოლიციაში, რომელიც ასევე არ არის სამხედრო ნაწილი.

როგორც ხმალაძემ აღნიშნა, ყველა ეს გადაწყვეტილება ცესკოში გასაჩივრდა, თუმცა ცესკომ არც ერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

მეორე პრობლემა, ხმალაძის თქმით, ისევ სპეცუბნებს უკავშირდება. კერძოდ, კანონის თანახმად, სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი იმ შემთხვევაში მონაწილეობს როგორც მაჟორიტარულ, ასევე პროპორციულ საარჩევნო სისტემის არჩევნებში, თუ ადგილსამყოფელს იცვლის ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საარჩევნო უბანი სხვა ოლქშია და თვითონ სხვაგან ცხოვრობს, მას უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს მაჟორიტარული სისტემის არჩევნებში.

— აქ პრობლემას ქმნიან იმით, რომ საარჩევნო კოდექსის არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

მისივე თქმით, სამხედროები თუ პოლიციელები დიდი ალბათობით ხმას მისცემენ ხელისუფლების კანდიდატს.

როგორც ხმალაძემ აღნიშნა, მესამე პრობლემა იქმნება ზემოთ აღნიშნული ორი პრობლემის შედეგად. სპეციალურ სიებში მყოფი ადამიანები, რომლებიც ისეთ საარჩევნო უბნებში არიან, რაც სამხედრო ნაწილს არ წარმოადგენს (ანუ არ არის ყაზარმა, გარნიზონი) დილით მიდიან სამსახურში და საღამოს ბრუნდებიან, ამასთან 1 ოქტომბერი არის უქმე დღე და, თუ ეს სამხედრო ნაწილი არ არის, იმ დღეს სამსახურში ყოფნა ამ ადამიანებს არ ევალებათ. აქედან გამომდინარე, მათ შეუძლიათ, მისცენ ხმა სპეციალურ უბანში და მერე იქ, სადაც რეგისტრირებულები არიან, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება" ითხოვს სპეციალურ სიებში შეყვანილ ამოიმრჩეველთა სიებს, რათა თავისი თვალით დარწმუნდნენ, შესრულებულია თუ არა კანონის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ თუ პირი შეყვანილია სპეციალურ საარჩევნო უბანზე, მაშინ ძირითად სიაში უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი.

### ხელისუფლებას სატელიტური თეფშების გაგონებაზე აჟრიალებს

**ტელეკომპანია** „მაესტროს" სატელიტური თეფშების დარიგებასთან დაკავშირებით, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ჩაიშალა, — ამის შესახებ ტელეკომპანია „მაესტროს" გენერალურმა დირექტორმა ილია კიკაბიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, მოლაპარაკებების შეთავაზება დაყადაღებული ანტენების დარიგებაზე მოჩვენებითი იყო და ყადაღის ახსნა არც იგეგმებოდა.

— ძალიან პრინციპული საკითხებია, რასაც არ დავთანხმდი. ისინი მიიჩნევენ, რომ მე ამომრჩევლის მოსყიდვას ვაპირებდი. ამის ეჭვი რჩება პროკურატურას. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ „საქართველოს ფოსტამ" დაარიგოს ანტენები. მე ამას არ ვეთანხმები. ამომრჩევლის მოსყიდვას არ ვაპირებდი. სქემა, რომელიც ჩვენ გვქონდა, გულისხმობდა, რომ ანტენებს „საქართველოს ფოსტის" ორი და ტელეკომპანიის ერთი წარმომადგენელი დაარიგებდა, რომელიც მონიტორინგს ჩაატარებდა და მოსახლესთან კონტრაქტს გააფორმებდა. ამ სქემაში რა არის ცუდი და როგორ შემეძლო ამომრჩევლის მოსყიდვა, არ ვიცი. აქედან გამომდინარე, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური გადაწყვეტილება და იმის გაგრძელება, რომ ჩიხური მდგომარეობის გამო ვერ დარიგდეს თეფშები, — განაცხადა ილია კიკაბიძემ.

მისივე თქმით, „მაესტროს" კუთვნილ სატელიტურ ანტენებზე ყადაღა არც მოხსნილა და მოხსნას არც აპირებდნენ. ეს არის ჩიხი, რომელიც შექმნეს თვითონ და, თითქოსდა უცხოურ ორგანიზაციებს აჩვენეს მზაობა, რომ მართლაც სიტყვის თავისუფლებისთვის გამოიდონ თავი. ეს იყო მოჩვენებითი, თითქოს კონსტრუქციული უწყებათაშორისი კომისია ძალიან ნერვიულობს „მაესტროს" სიგნალის გაფართოებაზე, — განაცხადა კიკაბიძემ.

მისი თქმით, მოლაპარაკებები უწყებათაშორის კომისიასთან ორშაბათ საღამოს ისეთ ჩიხში შევიდა, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს და, შესაბამისად, მოლაპარაკებები ჩაიშალა.

ილია კიკაბიძის განცხადებით, არსებულ ვითარებაზე ინფორმაციას და „მაესტროს„ და უწყებათაშორისი კომისიის კონტრაქტებს უცხოურ ორგანიზაციებს მიაწვდის.

**ინტერპრესნიუსი**

## მოძალადე ნაცემის ხელწერა

# ბასიშვილის ზონდერებმა ამჯერად ქალბატონიც სცემეს

**ცოტა ხნის წინათ „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა და 6 მოთხოვნა ჩამოაყალიბა, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას და ოპოზიციის აქტივისტებსა და მხარდამჭერებზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შეწყვეტას ითვალისწინებდა. ამას მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მისამართით გაკეთებული კრიტიკული შეფასებები, რამაც ხელისუფლება თითქოს გარკვეულ დათმობებზე წამოიყვანა. კერძოდ, კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალი პოლიტიკური პარტიების საბანკო ანგარიშებს ინკასო მოეხსნა და ჯარიმის ამოღების პროცედურა შეჩერდა, მაგრამ იმ 6 მოთხოვნიდან, რომლებიც ივანიშვილმა წამოაყენა, დღეის მდგომარეობით არც ერთი არ შესრულებულა და ხელისუფლების ქმედებები იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიტუაცია ამ მხრივ არჩევნებამდე დარჩენილ ორ კვირაშიც არ შეიცვლება.**

ამ მოთხოვნების წამოყენებიდან პრაქტიკულად დღე არ გასულა ისე, რომ „ქართული ოცნების" წევრებზე ზეწოლა და უფრო მეტიც — მათი ფიზიკური შეურაცხყოფა არ მომხდარიყო. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაშიც ორი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა. მაგალითად, დმანისში „ქართული ოცნების" საუბნო საარჩევნო კომისიის წევრ გიორგი დავითაშვილის ავტომანქანას პარლამენტარ კახა ოქრიაშვილის ბიძაშვილმა, მერაბ ოქრიაშვილმა საკუთარი მანქანა რამდენჯერმე დააჯახა.

მას შემდეგ, რაც აღნიშნულ ფაქტზე „ქართული ოცნების" წევრმა, სოზარ სუბარმა სპეციალური განცხადება გააკეთა, რომ მერაბ ოქრიაშვილის ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, ოქრიაშვილი დააკავეს.

სოზარ სუბარი კი განმარტავს, რომ მერაბ ოქრიაშვილს მანამდე კიდევ რამდენიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ გავლენიანი ბიძაშვილის მფარველობით იგი არც ერთხელ არ დასჯილა. რაც შეეხება თავად ინციდენტს, სოზარ სუბარი აცხადებს, რომ გიორგი დავითაშვილი საკუთარი მანქანით დმანისში „ქართული ოცნების" ოფისის წინ იდგა, რა დროსაც მას მერაბ ოქრიაშვილი თავისი მანქანით მიუახლოვდა, უკუსვლით, დამიზნებით დააჯახა თავისი მანქანა გიორგი დავითაშვილის ავტომობილს და ეს ქმედება რამდენჯერმე გაიმეორა.

„როგორც ჩანს, ამ ადამიანმა არ იცოდა, რომ ჩვენ იქ სათვალთვალო კამერები გვიყენია. ამ კამერების მიერ გაკეთებულ ვიდეო-ჩანაწერში კარგად ჩანს, მერაბ ოქრიაშვილმა რამდენჯერმე დამიზნებით როგორ დააჯახა თავისი მანქანა გიორგი დავითაშვილის მანქანას. ეს ადამიანი არის კახა ოქრიაშვილის საპარლამენტო ბიუროს უფროსი და გამოცდილი კრიმინალი, რომელსაც ამგვარი დანაშაული არაერთხელ ჩაუდენია.

მაგალითად, ორიოდე წლის წინათ მან იარაღი ესროლა კუდის ერთ-ერთ თანამშრომელს. მაშინ ეს საქმე კახა ოქრიაშვილის ხელმძღვანელობით ჩაფარცხეს. ამ ორიოდე თვის წინ კი, მერაბ ოქრიაშვილი, იმ ადამიანებთან ერთად, რომლებთანაც მას არაერთხელ სხვა კრიმინალი ჩაუდენია, კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა. ისინი უმიზეზოდ დაესხნენ თავს პოლიციის თანამშრომელს, სცემეს და, სხვათა შორის, ეს ფაქტიც გადაღებულია. მართალია, საქმეზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ ერთადერთი, რაც ამ ფაქტს მოჰყვა, იყო ის, რომ ეს ნაცემი პოლიციელი სხვა რაიონში გადაიყვანეს სამუშაოდ. დაუსჯელობით და კახა ოქრიაშვილის მფარველობით გათამამებულმა მერაბ ოქრიაშვილმა კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა გიორგი დავითაშვილის მიმართ. ეს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ეს არის პოლიტიკური ნიშნით დევნა და სხვისი ქონების განზრახ დაზიანება", — აცხადებს სოზარ სუბარი.




„ქართული ოცნების" წევრებზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლად აფასებენ კოალიციაში 17 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ დიცში მომხდარ ინციდენტს, რომლის შედეგადაც კოალიციის რამდენიმე წევრს სოფლის ცენტრში ფიზიკურად გაუსწორდნენ. სასტიკად არის ნაცემი „ქართული ოცნების" წევრი, სოფელ დიცის მკვიდრი ერასტი არჩვაძე. „ქართული ოცნების" გორის ოფისის წარმომადგენელი თამაზ შიოშვილი for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ არჩვაძე სოფლის ცენტრში ფეხით მოძრაობდა, სადაც მანქანით გაჩერებულები იყვნენ დეპუტატ ბადრი ბასიშვილის ე.წ. ზონდერები, დაახლოებით 10-12 ადამიანი, მათ შორის ლევან მაისურაძე, გოგიტა გოჩაშვილი, ბესო კახნიაშვილი და სხვები.

თამაზ შიოშვილის განცხადებით ერასტი არჩვაძეს „ქართული ოცნების" მაისური ეცვა. დამხვდურებმა კი მას მოსთხოვეს, მაისური გაეხადა და დაეხია.

„ამ ადამიანებმა არჩვაძეს უთხრეს, მაისური გაიხადე, ჩვენს თვალწინ დახიე და ზედ ფეხებით შედექიო. ამაზე უარი მიიღეს, რის გამო არჩვაძეს რამდენიმე მათგანი, 5-6 კაცი თავს დაესხა და სასტიკად სცემა. ერასტი არჩვაძეს ამ სოფელში ჩვენი კოორდინატორი ზაქარია არჩვაძე მიეხმარა (ის ასაკოვანი კაციაძ და ამის გამო ისიც სცემეს. გარდა ამისა, არჩვაძესთან იმ მომენტისთვის მისი ორი მეგობარი იმყოფებოდა სტუმრად, რომლებიც, რა თქმა უნდა, ხმაურზე გარეთ გამოვიდნენ და თავიანთ მეგობარს დაეხმარნენ და ბასიშვილის ზონდერებმა ეს ადამიანებიც სცემეს. აღსანიშნავია, რომ ადგილზე ერთ-ერთი მათგანის მეუღლე იმყოფებოდა და ბასიშვილის ზონდერები ამ ქალბატონსაც ხელით შეეხნენ. მოგეხსენებათ, მთელი სოფელი ამ კონფლიქტში ვერ ჩაერთვებოდა, რადგან ბასიშვილის ბიჭებს არავინ სჯის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველა მკაცრად გვყავს გაფრთხილებული, რომ პროვოკაციებს არ წამოეგონ", — აცხადებს თამაზ შიოშვილი.

„ბასიშვილის ზონდერებმა შეურაცხყოფა პოლიციელებსაც მიაყენეს. მთელი სოფელი მათ ეუბნებოდა, ხომ ხედავთ რეებს სჩადიან და ახლა მაინც დაიჭირეთო, მაგრამ სამართალდამცავებმა ამაზე არანაირი რეაგირება არ მოახდინეს. მოგვიანებით, ორივე მხარე დაკითხეს და ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბესო კახნიაშვილმა თურმე პოლიციელებს განუცხადა, „ქართული ოცნების" ბიჭებმა მცემესო, რაც აბსურდია", — ამბობს თამაზ შიოშვილი.

**ნინო ქლენტი**

ვარაუდები

# რას ნიშნავს დამშვიდებული სააკაშვილი?

პოლიტიკური პარტიები არჩევნებს არჩევნებამდე იგებენ, არჩევნებამდე კი ლამის თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება. ორივე ძირითად პოლიტიკურ ძალას აქვს გამარჯვების სურვილი და მოლოდინი. როგორც ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი ამბობს: **„განწყობა უკვე საკმაოდ შეცვლილია, ოპტიმისტური და აშკარად ცვლილებებზეა ორიენტირებული. ეს ატმოსფერო, რომ უკვე რაღაც შეიცვალა, ჰაერში ტრიალებს და ყველა გრძნობს ამას. რაღაც დამთავრდა და რაღაც ახალი იწყება — ეს ნებისმიერ სოციალურ ფენაში იგრძნობა და ძალზე პოზიტიურია. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ გველის რაღაც სრულიად განსხვავებული, მე არ ვიცი, ეს ორში იქნება თუ სამში, ოქტომბერში, ნოემბერში თუ შემდეგ, მაგრამ ცვლილება არის გარდაუვალი და ყველა გრძნობს ამას“.**

ასეთია განწყობა საზოგადოებაში, მაგრამ მეორეა, რას გრძნობენ პოლიტიკოსები, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე. ქვეყნის პრეზიდენტის ტონალობაში უცნაური ნოტები გაისმა — მან პოლიტიკურ ძალებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდა — ეს უცნაური ტრანსფორმაცია უკვე განსჯის საგანი გახდა, რას ნიშნავს საკმაოდ აგრესიული პიარკამპანიით გამორჩეული სააკაშვილის უცნაური ტრანსფორმაცია არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, მაშინ როდესაც ყველა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი მთელი თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში პირად მტრად მიაჩნდა, საზოგადოებისთვის ცოტა არ იყოს, დამაბნეველია.

ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ **დამოკიდებულების ასეთი მკვეთრი ცვალებადობა უნდობლობას აჩენს.**

**„როდესაც წინა დღით კლასების განადგურებაზეა საუბარი, მერე გაერთიანებასა და თანამშრომლობაზე გარანტია არ გაქვს, რომ მესამე ჯერზე ისევ განადგურებაზე არ იქნება საუბარი. დამოკიდებულების ასეთი მკვეთრი ცვალებადობა უნდობლობას აჩენს, რომ ასეთი თბილი დამოკიდებულება რეალურად არსებობს. სხვათა შორის, უნდობლობა ჩნდება იმის მიმართაც, რომ ის აგრესიაც რეალურია. ეს აჩენს ეჭვს, რომ ის აგრესიაც მხოლოდ ემოციის რაღაც ნარჩენი იყო და ესეც. ასე რომ, არც ისეთი მკაცრი იქნება თავისი მტრების მიმართ სააკაშვილი როგორც თქვა, მაგრამ არც ისეთი ლმობიერი, როგორც გუშინ ჩანდა“,** — აცხადებს საყვარელიძე.

ზაზა შათირიშვილი თვლის, რომ **„ყველაფერი დამოკიდებულია ორ ფაქტორზე — ერთი მხრივ, თუ ჩვენ ამას შევხედავთ, როგორც გარკვეულ პოლიტიკურ სტრატეგიას, ამ კუთხით, რა თქმა უნდა, არ მუშაობს. პოლიტიკური თანამიმდევრულობის კონტექსტში არის არათანამიმდევრული, არასწორი და არ მუშაობს. მაგრამ თუ ამას შევხედავთ როგორც რაღაც სხვა ნიშანს, რომ თითქოს ძირითადი სამუშაო შესრულებულია და თავს აძლევს ასეთ უფლებას, მაშინ შეიძლება, განვიხილოთ როგორც მინიშნება, რომელიც პრინციპში აშკარად არ იკითხება, მაგრამ იკითხება კულისებში. მაშინ ეს ნიშანი არის ვიღაცისთვის და არა საჯარო სივრცისთვის“.**

**საქართველოში ჩამოსულია ძალიან ბევრი უცხოელი, რომელიც აკვირდება საარჩევნო პროცესსაც და საარჩევნო რიტორიკასაც. არის თუ არა გათვლილი უცხოელებზე სააკაშვილის გაადამიანურება, ზაზა შათირიშვილი თვლის, რომ „ეს მომენტიც არის და ახლა სააკაშვილი ლაპარაკობს იმ ტონით, რაც მიღებულია დასავლეთში, ასეც შეიძლება წავიკითხოთ“.**

უცხოელების შენიშვნებს შორის, რომლებიც წინასაარჩევნო პროცესს აკვირდებიან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა „სიძულვილის ენა“, რომელსაც აქტიურად იყენებენ წინასაარჩევნო მიმართვებისას ქართველი პოლიტიკოსები. იმის მიუხედავად, რომ მმართველი პარტიისგან, არა მხოლოდ ამ კონკრეტულ წინასაარჩევნო პერიოდში, არამედ ხელისუფლებაში მისი მოსვლის დღიდან, მიჩვეული ვიყავით მუდამ იმ ტონალობაში საუბარს, რომელიც უცხოელების მიერ „სიძულვილის ენად“ ფასდება, დღევანდელი ოპოზიციაც ხელისუფლებისგან ამ ნიშნით გამოირჩეოდა, რომ მისი ტონი იყო მშვიდი და მშვიდობიანი.

ამის მიუხედავად, მაინც განსახილველ თემად იქცა ის ეპითეტი, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის მიმართ გამოიყენა, აჟიოტაჟი ატყდა იმის მიუხედავად, რომ როგორც ბიძინა ივანიშვილმა განმარტა, სიტყვა არასწორად გადაითარგმნა. თუ დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკოსთა ტონი, მაშინ, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არასოდეს არ ყოფილა განხილვა ნაციონალური არხებით (და არც უცხოელების მიერძ, რა ეპითეტებს იყენებს თავად სააკაშვილი ოპოზიციის მიმართ.

ზაზა შათირიშვილი თვლის, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა, ერთი მხრივ, ლობისტების ნამუშევარიც იყოს, **„თუმცა საქართველოზე სულ სამი-ოთხი კაცი წერს და დასავლური საზოგადოებისთვის, ვგულისხმობ ხალხს, ალბათ, მეშვიდეხარისხოვანია საქართველოში ვინ ვის რა უწოდა. მეორე მხრივ, უფრო გამოკვეთილია ნაციონალური არხების აქტიურობა, რომლებმაც აიტაცეს ეს ფრაზა და წინ და უკან ატრიალეს“.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ საბოლოო მიზანი ამომრჩეველზე ზემოქმედებაა და არა ის, თუ ვინ ვისზე რა თქვა და დასავლეთს როგორი შთაბეჭდილება შეექმნა ამ გამონათქვამზე, ზაზა შათირიშვილი თვლის, რომ ელექტორალურად, მკვეთრი განცხადებები ივანიშვილის მხრიდან სააკაშვილის მისამართით, მხოლოდ მომგებიანია.

რაც შეეხება სააკაშვილის შეცვლილ ტონალობას, შათირიშვილი მიიჩნევს, რომ ეს არ არის ელექტორატზე გათვლილი. ეს უფრო დასავლეთზეა გათვლილი, **„ამასთან, მგონია, რომ თითქოს ეს სიგნალია, რომელიც ყველას მიმართ არ არის. თუ რა ტიპის მინიშნებაა, ეს, ალბათ, მერე გამოჩნდება“.**

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## რუსეთის პრეზიდენტმა ჯარისკაცებს თავდაცვისთვის მზადყოფნისკენ მოუწოდა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სამხედრო სწავლება „კავკაზ 2012“-ის მონაწილეებს მიმართა და ჯარისკაცებს თავდაცვისთვის მზადყოფნისკენ მოუწოდა.**

**„რია ნოვოსტის“ ცნობით, რაიევსკის პოლიგონზე პუტინმა განაცხადა, რომ მსოფლიოში შეირაღებული კონფლიქტების მასობრივი გახშირება კიდევ უფრო ზრდის ეფექტური და კვალიფიციური არმიის მნიშვნელობას.**

**როგორც რუსეთის პრეზიდენტმა განმარტა, შესაბამისად, აუცილებელია, რუსეთს ჰყავდეს კარგად მომზადებული ჯარი, რომელიც ერთნაირად კარგად გაართმევს თავს შეტევით და თავდაცვით ფუნქციებს, უზრუნველყოფს რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას.**

**— თქვენ ყველანი გონიერი ადამიანები ხართ, ხედავთ რაც ხდება დღეს მსოფლიოში. სამწუხაროდ, სულ უფრო ხშირდება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების შემთხვევები, — უთხრა პუტინმა ჯარისკაცებს.**

**რუსეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ იგი გეგმავს რუსეთის სამხედრო ძალების მოდერნიზაციასა და მათ აღჭურვას უახლესი საბრძოლო შეიარაღებით. „კავკაზ 2012“ 23 სექტემბრამდე გაგრძელდება.**

ინტერპრესი

განსჯა

# ამერიკელების წაუგებელი თამაში საქართველოში გრძელდება

**ამერიკელ სენატორთა ჯგუფისა და ნატოს გენერალური მდივნის თბილისში ჩამოსვლა მომავალი საპარლამენტო არჩევნების ფონზე ქართული საზოგადოებრიობის გაძლიერებულ ინტერესს იწვევს. კერძოდ, საზოგადოებას აინტერესებს: ვის დაუჭერენ მხარს ამერიკელები და მათი მოკავშირეები, ვისი ხილვა ურჩევნიათ პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქართველოს საჭესთან.**

ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ადრე გავრცელებულ მასალებსა და ინტერვიუებში უკვე აღინიშნა, რომ ამერიკელები ლავირებისათვის იტოვებენ სივრცეს, არ დებენ ფსონს მხოლოდ ერთ-ერთ მოთამაშეზე — სააკაშვილზე ან ივანიშვილზე.

2008 წლის იანვარში სულ სხვა ვითარება იყო: აშშ და მისი მოკავშირეები, დიპლომატიურად, მაგრამ სავსებით გამჭვირვალედ იკავებდნენ ცალსახა პოზიციას — მათ არ სურდათ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა და მხარი დაუჭირეს სააკაშვილის რეჟიმს. მაშინდელი ოპოზიცია მათთვის მიზეზთა გამო მიუღებელი იყო.

ამჟამინდელი, ივანიშვილის გარშემო გაერთიანებული ოპოზიციის იმიჯი უკვე, დიდი ხანია, „პროდასავლურობასთან“ (პროამერიკულობასთანძ ასოცირდება (თუნდაც არა უხეში ანტირუსული რიტორიკით, როგორც სააკაშვილის შემთხვევაშიაძ. თავად ივანიშვილი თავს „ევროპელად“ მოიაზრებს. მაგრამ ეს არასაკმარისია იმისათვის, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ მოისურვოს სწორედ ივანიშვილისა და მისი მომხრეების მოსვლა ხელისუფლებაში. მით უმეტეს, რომ ამერიკელებს, უკვე 9 წელიწადია, ურთიერთობა აქვთ „ვარდების“ ხელისუფლებასთან, რომელიც კიდევ უფრო პროამერიკულია, და ოღონდ თავისი საიმედოობა დაუმტკიცოს ამერიკას, „ვარდრევოლუციონერები“ მთელი თავიანთი მმართველობის პერიოდში აშკარად საქართველოს სტრატეგიული ინტერესების წინააღმდეგ მიდიან, გამოიწვიეს რა რუსეთთან კონფრონტაცია, რამაც ჩვენს ქვეყანას არა მხოლოდ რუსული შრომისა და გასაღების ბაზარი, არამედ მოსკოვის მიერ ქართული ტერიტორიების აღიარების გზით ეს ტერიტორიები გრძელვადიანად დააკარგვინა.

თუმცა ამჟამად „ვარდთა“ ეს მონობაც აღარ არის საკმარისი იმისათვის, რომ აშშ-მა მათ, და მხოლოდ მათ




მხარდაჭერაზე გააკეთოს აქცენტი. „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არის ფაქტორი, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, ბოლო წლებში საქართველოში აშშ-ის წყალშეყენებული იმიჯი (ამის მიზეზი კი, არც თუ უკანასკნელ შემთხვევაში, ამერიკელების მიერ რეჟიმის ცალსახა მხარდაჭერა, სამაგიეროდ, 2008 წლის ომში ქართული ინტერესების სუსტი მხარდაჭერააძ შეიძლება, გამოკეთდეს, პოლიტიკური ვითარება კი — დაწყნარდეს.

სამაგიეროდ, იმავე „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მეტყველებს ის, რომ ივანიშვილი მაინც უფრო ევროფილია, რაც იგივე ამერიკანოფილიას არ ნიშნავს. გარდა ამისა, ივანიშვილმა თავისი ქონება რუსეთში დააგროვა, და, ასე თუ ისე, იქ აქვს კავშირები. ეს ამერიკელების სიფრთხილეს იწვევს, მათი თითქმის დაუფარავი მიზანი ხომ ორი მართლმადიდებელი ერის „ზედმეტი“ დაახლოების არდაშვებაა. სწორედ ამიტომ სენატორმა მაკკეინმა მისთვის ჩვეული უხეში სტილით განაცხადა თბილისში: **„ივანიშვილმა თქვა, რომ რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და ჩვენ მის სიტყვებს ვიღებთ“** (თუმცა ივანიშვილმა ანგარიში ჩააბარა მაკკეინს, როგორ გაყიდა თავისი ბოლო რუსული ბიზნესი, მაკკეინის ფორმულირება სწორედ ამგვარი აღმოჩნდაძ.

იმდენად, რამდენადაც ორივეს — როგორც ივანიშვილის, ზუსტად ისევე სააკაშვილის გამარჯვების შემთხვევაში, ამერიკელებისთვის არის პლუსებიც და მინუსებიც, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისე მოიქცნენ, თითქოს მათთვის მთავარია დემოკრატია და ქართველი ხალხის ნება. ეს საკმაოდ მოსახერხებელი პოზიციაა — დააკვირდნენ, გაერკვნენ და მხოლოდ შემდეგ დაუჭირონ მხარი ორიდან ერთ ძალას. თავიანთი მხარდაჭერა კი „ხალხის ნებით“ იქნება ახსნილი (სწორედ ამიტომ მომავალი ხმის მიცემა არ არის ფარსი, ხალხმა თავისი არჩევანი უნდა გააკეთოს, ოპოზიციამ კი ეფექტიანად დაიცვას ხმები თავის სასარგებლოდ, ანუ ხალხი მომავალ არჩევნებზე ყველაფერს არა, მაგრამ ბევრ რამეს წყვეტს!ძ. იმავე მაკკეინმა ეს აზრი დაადასტურა — განაცხადა, რომ აშშ იხელმძღვანელებს საერთაშორისო დამკვირვებლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნით. თავისთავად ცხადია, რომ ქართულ არჩევნებს ძირითადად აკვირდებიან ამერიკელი ან ამერიკელების მიერ კონტროლირებადი სტრუქტურები. ეს დამკვირვებლები, რომლებიც უკვე იმყოფებიან საქართველოში, ჯერჯერობით დუმილს ინარჩუნებენ წინასაარჩევნო პროცესთან დაკავშირებით. ისინი ხმას მაშინ ამოიღებენ, როდესაც სიგნალს ვაშინგტონიდან მისცემენ.

სენატორმა ლიბერმანმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ **„როგორიც არ უნდა იყოს ამ არჩევნების შედეგი, ეს მეგობრული ურთიერთობები გაგრძელდება“**. ეს როგორც მორიგი დიპლომატიური ფრაზა, ისე ჟღერს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ზედმიწევნით ასახავს რეალობას და აშშ-ის ადმინისტრაციის მისწრაფებებს. სენატორმა მაკკეინმა ასევე დაადასტურა: **„მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსთან გაგრძელდება იმის მიუხედავად, ვინ გახდება აშშ-ის შემდეგი პრეზიდენტი“.**

ამერიკული თამაში საქართველოში წაუგებელია — მანამ, სანამ რუსეთი არ გამოიღვიძებს, რომელსაც პერსპექტივაში შეუძლია, რადიკალურად შეცვალოს სიტუაცია და აჩვენოს, რომ ამერიკული გავლენა კავკასიაში დროებითი მოვლენაა და არამდგრად საძირკველს ემყარება. ამერიკელები, თავიანთი მხრივ, ყველაფერს იზამენ საიმისოდ, რომ რუსეთმა არ გამოიღვიძოს.

**გულბაათ რცხილაძე**

ვარაუდები

# რას ნიშნავს დამშვიდებული სააკაშვილი?

(მესამე გვერდიდან)

ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილიც ფიქრობს, რომ სააკაშვილის ტონის ცვლილება შეიძლება ორი მიმართულებით გავიგოთ.

**„თავი დავანებოთ შინაარსს, რას ამბობდა ადრე და რას ამბობს ახლა, თავისთავად ასეთი დიამეტრალურად შეცვლა ტონალობისა იმდენად ხელოვნური ჩანს, რომ ძნელი წარმოსადგენია, ვინმე ნდობით განეწყოს მის მიმართ. სულ ათიოდე დღის წინათ იგივე ადამიანი სრულიად სხვა ტონალობით და სრულიად სხვა ეპითეტებით ამკობდა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს.**

**ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სააკაშვილი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს დასავლეთის იმ მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა აზრს, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში და რომლებიც იძულებულები იყვნენ, დარწმუნებულიყვნენ, რომ საქმე მხოლოდ ოპოზიციაში არ არის.**

**მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებისთვისაც სააკაშვილი მხოლოდ დადებით სიმბოლოს და დემოკრატიის შუქურას წარმოადგენდა, ისინიც კი დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ ოპოზიცია და თითქოს მისი რეტროგრადულობა არაფერ შუაშია (რომ თითქოს მას საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდა და ა.შ).**

**ძირითადი მიზეზი არის ის გაუწონასწორებელი და ცუდად გათვლილი დამოკიდებულება საკუთარი სახელმწიფოებრიობისადმი, რომელიც სააკაშვილს ახასიათებს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ის ნერვიული ტონი, რომელიც მას შეაქვს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, კარგს არაფერს მოიტანდა, ისინი დარწმუნდნენ ამაში. როგორც ჩანს, ის იძულებულია, რომ მათ ანგარიში გაუწიოს, თუმცა ეს იმდენად ხელოვნური, ყალბი და დროებითია, რომ ძნელი წარმოსადგენია ვინმე ენდოს ან ვინმე ელოდეს რაღაცა რეალურ შედეგს“,** — აცხადებს ზაზა ფირალიშვილი.

როგორც ფირალიშვილი თვლის, მეორე მიზეზი შეიძლება იყოს **„სერიოზული შიში იმისა, რომ თვითონვე შეიძლება აამღვრიოს წყალი ისე და შექმნას ისეთი ქარიშხალი, რომელსაც თავადვე შეეწირება.**



**მან დაინახა, რომ არც ისეა საქმე, როგორც მას არწმუნებდნენ ან როგორც სწამდა, დაინახა, რომ ქვეყანაში მის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს და ადამიანთა სულ უფრო მეტი რაოდენობა თამამად გამოთქვამს მის მიმართ დამოკიდებულებას, 9 წლის განმავლობაში წარმოებული პოლიტიკის მიმართ განწყობას, თვითონაც ცდილობს, რომ როგორმე დააბალანსოს ეს ვნებები და მშვიდი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კალაპოტში მოაქციოს. ვფიქრობ, ეს ორი ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს, რამაც განსაზღვრა მისი ბოლო განცხადებები“,** — მიიჩნევს ფირალიშვილი.

ხომ არ არის სააკაშვილის მშვიდობიანი ტონი გზავნილი საკუთარი გუნდის მიმართ, რომ უკვე ყველაფერი კარგად არის და შეუძლია მშვიდად იყოს, თუმცა მისი გუნდიც, ისე როგორც დანარჩენი საზოგადოება, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერისაგან სხვა ტონალობასაა ჩვეული და ამან, შესაძლოა, მათშიც დაბნეულობა გამოიწვიოს.

**„მაგრამ მისი თანაგუნდელები მასზე ნაკლებად არ იცნობენ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას. ეს უფრო ჩვეულებრივი ადამიანებისკენ შეიძლება იყოს მიმართული, ის მოწინააღმდეგეს მოუწოდებს დაიცვან სახელმწიფოებრივი ნორმები. უცხოელების გარკვეულ და შესაძლოა, მნიშვნელოვან ნაწილზე ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს, მაგრამ ძალზე საეჭვოა, რაიმე გავლენა მოახდინოს იმ ამომრჩეველზე, რომელიც სააკაშვილს ძალიან კარგად იცნობს, უკვე 9 წელია.**

**ასე რომ, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ადამიანი, რომელიც 9 წლის განმავლობაში, რბილად რომ ვთქვათ, სრულ უტაქტობას იჩენდა მთელი ქართული საზოგადოების მიმართ, რომელიც მტრებად და მოყვრებად ყოფდა მთელ ქვეყანას, ჩარეცხილებად, გვამებად და მუმიებად, რა ვიცი, რად არ აცხადებდა თავის პოლიტიკურ მეტოქეებს. ახლა ძალიან ძნელია მის ტკბილ სიტყვებს ვენდოთ.**

**მეტსაც ვიტყვი, შეიძლება აღმოჩნდეს გარკვეული კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ამაში დაინახავენ სააკაშვილის შიშს დამარცხების მიმართ“,** — ამბობს ფირალიშვილი.

მოკლედ, რას ნიშნავს უჩვეულოდ დამშვიდებული სააკაშვილი, სავარაუდოდ, არჩევნების დღემდე გამოცანად დარჩება, ასევე, ჩნდება განცდა, რომ ეს არის მართლაც მინიშნება — შეგუება იმ ცვლილებებთან, რაც ქვეყანაში უკვე დაიწყო, ანდა გამარჯვების გარანტიის წინასწარ მიღება.

**მარიამ თოდაძე**

პარალელებისთვის

# არჩევნებიდან არჩევნებამდე

**XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიას მომავალი თაობები დაარქმევენ სახელს — „ეპოქა არჩევნებიდან არჩევნებამდე“. წინაპართა ცხოვრებაზე დარჩებათ შთაბეჭდილება, თითქოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესები მხოლოდ არჩევნებით შემოიფარგლებოდა.**

არჩევნების მოახლოება წუთისოფლის ერთფეროვნებას აცოცხლებს. ზებუნებრივ აქტიურობას იძენენ განცხრომას შეჩვეული „ყველაფრისმცოდნენი“, რომლებიც რჩეულთა კვარცხლბეკის შესანარჩუნებლად იწყებენ დაპირებების ახალი ტალღის აზვირთებას. წარბიც არ უტოკავთ ისე მოურიდებლად გვიმტკიცებენ, რომ არიან ძალიან კარგები და თუ ამჯერადაც მივცემთ ხმას, საქართველო შეაბიჯებს ბედნიერების ნანატრ სამყაროში. მონუსხული ერი უსმენს სოფისტურ მსჯელობებში გაწაფულ მჭევრმეტყველებს და ყელამდე ჭაობში ჩაფლულები, ზეცას აზანზარებენ ხმამაღალი შეძახილებით, რომ ასეთი თვალის ამხელები მოუვლინა უფალმა. ლამაზი სიტყვების ფეიერვერკით მოხიბლულები ოვაციებით ხვდებიან დაპირებების ნაცარს, რომლითაც დაბინდული აქვთ მხედველობა.

მეცხრე წელია, ვადგევართ ევრო-ამერიკულ-სინგაპურულ სტანდარტებთან მისაახლოებელ გზას. ამისთვის აუცილებელი გახდა არსებული დონის განადგურება. ოქსფორდ-ჰარვარდის სერტიფიკატ-დიპლომიანებმა, საბჭოთა დიპლომიანები განსხვავებულ კატეგორიაში ჩარიცხეს და განმანათლებლებად მოვლენილი „უსწავლელი სწავლულები“ მათ ზემოდან უყურებენ. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. სიჩქარეში ჩავუქროლეთ ევროპას და ამაყად შევაბიჯეთ ჯუნგლებში, სადაც ერთადერთ იარაღს ქვა წარმოადგენს.

ქართველი ჩინოსნები ცხრა წელია, მაღალი ტრიბუნიდან ენამზეობენ, რომ დგანან ხალხისა და ეროვნულ ღირებულებათა სამსახურში, მაგრამ ვისაც თეთრისა და შავის გარჩევა შეუძლია, კარგად დაინახავს: მოვალეობა ეპიზოდურად ახსენდებათ (არჩევნების წინძ.

განვლილი წლების რიტორიკის ცენტრში იდგა რეფორმები. განათლებულობის ამბიციებით შეპყრობილებმა არსებულის დაცემაგაუფასურებას უწოდეს წარმატებული რეფორმა. არჩევნების ახალ ტალღაზე რეფორმებს ძველებური შემართებით აღარ ეხმიანებიან, რადგან გრძნობენ, ჩავარდნილი სფეროს შეხსენება დღეისათვის მიმზიდველი არ არის. ამიტომ, როგორც არარსებულს დუმილით უვლიან გვერდს.



ადამიანები, რომლებსაც ხე არ დაურგავთ, აგური აგურზე არ დაუდვიათ, გამოდიან და სერიოზული იერით გვიმტკიცებენ, რომ აწუხებთ ერის ბედი, განზრახული აქვთ ახალი საქართველოს აშენება.

მთავრობა და პარლამენტი, ნებსით თუ უნებლიეთ, ეწინააღმდეგებიან საკუთარ აღმშენებლობით პოლიტიკას. მოლვაწეობის მეცხრე წელს დაინახეს, რომ ქვეყანაში არის სიღარიბე, უმუშევრობა, აუტანელი მდგომარეობა. აქამდე რატომ იკავებდნენ თავს? ვინ უშლიდათ ხელს? ეს საიდუმლოება არჩევნების წინ რატომ გახდა ყველასათვის მისაწვდომი? ეს არის შენიღბული ფორმა ახალი დაპირებების ზურგის გასამაგრებლად, რათა მოიპოვონ ნდობის ვოტუმი და მუხლჩაუხრელად გააგრძელონ ბრძოლა „შინაური“ თუ გარეშე მტრებით გარშემორტყმული ქვეყნის გაჭირვების დილეგიდან ამოსაყვანად.

უცხოური სერტიფიკატ-დიპლომებით ხელდამშვენებული „პატრიოტები“ ქართულ საკანონმდებლო სახლს თავიანთ საკუთრებად თვლიან და შეუპოვრად აცხადებენ, რომ ნებისმიერი საშუალებებით შეეცდებიან მის შენარჩუნებას, რაც ნიშნავს მათი ნეტარების დღეების გახანგრძლივებას. თვალში საცემია ის რეალობა, რომ წლების მანძილზე ვირჩევთ ერთსა და იმავე პირებს. ისინიც თავბრუდამხვევი ემოციურობით იმეორებენ წინა წლების სიტყვიერ საგანძურს, გამდიდრებულს ეპოქის ახალი „გამოწვევებით“ სინამდვილეში რაც სიმდიდრის მოხვეჭა არ მაქვს მხედველობაშიძ, იმავეს გააკეთებენ მომავალშიც.

ხელისუფლების მტკიცება, ყველაფერს წყვეტს ხალხიო, არის სეზონური მოხმარების სიტყვები, არჩევნების პერიოდში გამოიყენება. ხალხი კი აკეთებს არჩევანს, მაგრამ პირობა არ სრულდება და ამომრჩეველს რჩება შეუცვლელობის ამბიციით გაამაყებული „რჩეული“. მარადიული „რჩეულებიც“ არ იშურებენ იაფფასიან ეპითეტებს: ხალხი არის „ბრძენი“, მას არაფერი ეშლება და რადგან ნდობა გამოგვიცხადა ვერ ვუღალატებთო“. საკმაოდ მყარი არგუმენტია, მაგრამ ხალხს თუ მეტის გარჩევა არ შეუძლია, რა დღეშიც არის, ზუსტად იმის ღირსია. მარადიული რჩეული (იგივე პარლამენტარიძ სტატუსის მოპოვებისთანავე უერთდება ანსამბლს, რომელიც ერთ ხმაში ასრულებს უაზრო და არაფრისმთქმელ სიმღერას. მისი ფუნქცია ხდება არა ის, რისთვისაც აირჩიეს, არამედ ლებულობს ბრძენკაცის პოზას და მაღალფარდოვანი სიტყვებით მოძღვრავს ერს (ყოველ შემთხვევაში ასე იყო აქამდე. რა გარანტია გვაქვს, რომ სიცრუეში კარგად გამოწრთობილები იმავეს არ გააგრძელებენ?ძ.

ნაციონალების სიტყვიერ არსენალში პოპულარულია სიტყვა — დემოკრატია, მაგრამ ძველ ბერძენთა ამ დიდმა გამოგონებამ ქართულ მიწაზე სრული გაუფასურება განიცადა. ხალხის ნდობის მოპოვება (მეორედ, მესამედ, მეოთხედ. სანამდე?ძ ვერასდროს ვერ ჩადგება ეროვნული ინტერესების სამსახურში. პატრიოტული სიტყვაკაზმულობის უმთავრესი ამოცანა გამოკვეთილია: მოპოვებული პრივილეგიების შენარჩუნება. შემთხვევით ალზევებული პერსონის ფიცი, რომ მოქმედებს სამშობლოს სიყვარულით, ყალბია.

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია

### ქართველი ემიგრანტები საკონსულოებში აღრიცხვაზე არ აჰყავთ

**კოალიცია „ქართული ოცნების“ კანცელარიაში ემიგრანტებმა უცხოეთში მცხოვრები იმ თანამემამულეების სიები შეიტანეს, რომლებმაც არჩევნებისთვის საკონსულო აღრიცხვის გავლა ვერ შეძლეს.**

**როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ერთ-ერთმა ემიგრანტმა მაია კობაიძემ განაცხადა, სხვადასხვა ქვეყნიდან ასეთი ათი ათასობით ადამიანია, რომლებმაც ვერ შეძლეს საკონსულო აღრიცხვის გავლა იმის გამო, რომ ითხოვდნენ ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან, რაც ემიგრანტებისთვის შეუძლებელია, ხოლო მეორე პრობლემა არის ის, რომ დამატებითი რეგისტრაციის დღეები ასევე სამუშაო პერიოდში დაინიშნა.**

**მისივე თქმით, თავად სტამბოლში ცხოვრობს უკვე რამდენიმე წელია და მისთვის ცნობილია, რომ თურქეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების 80-მდე პროცენტმა ვერ მოახერხა საკონსულო აღრიცხვის გავლა, ზემოაღნიშნული პრობლემების გამო.**

**— მე პირადად ვთხოვე საქართველოს კონსულს თურქეთში ზურაბ პატარაძეს ერთი კვირა დღე მაინც გამოეყო დამატებით, რაზეც უარი მივიღე, — აღნიშნა მაია კობაიძემ.**

**მისივე თქმით, საკონსულო თურქეთში 10-დან 13.00 საათამდე მუშაობს და მუდმივად პრობლემები ექმნებათ საქართველოს მოქალაქეებს, რადგან ხან ეუბნებიან, რომ დაკავებულები არიან, ხან ვერ იცლიან.**

**— ცესკო-დან პასუხი ვერ მივიღეთ. ემიგრანტების მიერ დაწყებული აქციის მიზანი იყო, ჩამოგვეტანა ინფორმაცია და ვინმესთვის მიგვეწოდებინა. ერთადერთი რეალური ოპოზიციური ძალა არის „ქართული ოცნება“. ჩვენ ჩამოვიტანეთ უცხოეთში მყოფი საქართველოს ათი ათასობით მოქალაქის სიები. ამ სიებს თან ახლავს პასპორტის ასლები და პირადი ნომრები. ჩვენი თხოვნაა, გადაამოწმონ ეს სიები, რათა არ იქნას მათი პირადი ნომრები არჩევნების გაყალბებისთვის გამოყენებული, — განაცხადა მაია კობაიძემ.**

**ემიგრანტების განცხადებით, ეს არ არის სრული სია და დამატებით კიდევ მოახდენენ სიების წარდგენას.**

**ქართველ ემიგრანტთა დაახლოებით 100-კაციანი ჯგუფი, სხვადასხვა ქვეყნებიდან, სარფის გავლით საქართველოში ორშაბათს დაბრუნდა.**

**ინტერპრესი**

## ლოპოტის ოპერაციის გამოძახილი

# „ჩვენი ძმების სისხლის არც ერთ წვეთს არ შევარჩენთ პრეზიდენტს!“

### ლოპოტის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, რასაც ქისტი და ჩეჩენი ახალგაზრდები შეეწირნენ, ეთნიკური ქისტები საქართველოს ხელისუფლებას შურისძიებით ემუქრებიან

**ასეთია ქისტების რამდენიმე ღია წერილი, რომელიც კახეთის საინფორმაციო ცენტრმა პანკისის ხეობის, ასევე, ევროპისა და არაბეთის ქვეყნებში მცხოვრები ეთნიკური ქისტებისგან მიიღო.**

**„ჩვენ, პანკისში მცხოვრები ქისტები, არც ტერორისტები ვართ და არც რადიკალი ვაჰაბიტები, როგორც ამას ზოგიერთი ჟურნალისტი და „ექსპერტი“ ავრცელებს. ჩვენ ჩვენი რელიგიის მიმდევრები ვართ და ვცდილობთ, დავიცვათ შარიათის კანონები. ჩვენ თუ წვერი გვექნება და მეჩეთში ვივლით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტერორისტები ვართ. უბრალოდ, ვცდილობთ, შევასრულოთ ღმერთის მიერ ჩვენთვის დავალებული აუცილებლობები“,** — ნათქვამია წერილში.

**აქვე ქისტები საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ ქართველებთან მიმართებით და ადასტურებენ, რომ მათ ქართველ ერთან, როგორც მოძმეებთან, მტრობა არ ჰქონიათ. უფრო მეტიც, ისინი ირწმუნებიან, რომ შეიარაღებულები არ დადიან და ეს ხელისუფლების მიერ აგორებული ჭორებია, რათა თავიანთ საქციელს ფარდა აფარონ.**

**ქისტები ხელისუფლებას საკუთარ მენტალიტეტსაც შეახსენებენ და აცხადებენ, რომ ლაფანყურის მოვლენების დავიწყებას არ აპირებენ.**

ქისტების აზრით, **საქართველოს ხელისუფლებამ მსოფლიოს წინაშე და საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა დასაშინებლად გაითამაშა ეს ოპერაცია.**

ამდენად, ქისტებისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რა მიზნით დახოცა მთავრობამ თავისი მოქალაქეები. **„ჩვენი ძმების სისხლის არც ერთ წვეთს არ შევარჩენთ, ეს უნდა დაიმახსოვროს პრეზიდენტმა. დღეიდან ძმობა მტრობამ ჩაანაცვლა, სააკაშვილის ბინძურმა პოლიტიკამ და „დღეიდან ჩვენ ორს შუა, მოციქული არის ტყვია“. დღეიდან ელოდოს მტრებს და არა ძმებს, მტრებს, რომლებსაც მგლებივით არ ავიწყდებათ მტრობა და შურისძიება სიკვდილის ბოლომდე... „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი შესჭამონ მტრისანი“... ჩვენს წინაპრებს უთქვამთ ასევე: „შერჩენილი მხოლოდ ის მტრობაა, რომელიც დავიწყებულია“...**

**და ბოლოს, ქისტები კიდევ ერთხელ განმარტავენ, რომ ეს მიმართვა არა ქართველებს, არამედ საქართველოს მთავრობას ეხება. ერთ-ერთ წერილს ხელს მუჰამად ბორჩაშვილი აწერს.**

ამ წერილების ავთენტურობისა და მასში გადმოცემული შინაარსის შეფასება **For.Ge**-მ ექსპერტებს სთხოვა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გენერალი გია ყარყარაშვილი აცხადებს, რომ ცოდვა-ბრალი უკვალოდ არასდროს იკარგება, მით უფრო, კავკასიელებში.

**„როგორც არ უნდა შეიფუთოს ისტორია, ფაქტია, რომ ტრაგედია დატრიალდა. ვისი რა დოზით არის ცოდვა-ბრალი, ეს იციან მიცვალებულებმა, ასევე, იმ ჯგუფებმა, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ და ხელისუფლებამ. ცოდვა-ბრალი ვისზე მეტად მოდის, და ვისზე ნაკლებად, ზუსტად ამგვარი ფორმებით გამომჟღავნდება — წერილებით და სხვა განცხადებებით“,** — აცხადებს გია ყარყარაშვილი.

**მიუხედავად იმისა, რომ ქისტების წერილის ადრესატი საქართველოს ხელისუფლებაა და ქართველი ერის მიმართ ქისტებს მტრობა არ აქვთ, გია ყარყარაშვილი მიიჩნევს, რომ, როცა მტრობა იწყება, იქ ძნელია სიმართლის გარჩევა, და მტრობის მსხვერპლი ხდება როგორც ბრალიანი, ისე — უბრალო. უფრო მეტიც, ჩრდილო კავკასიაში ამგვარი ინციდენტები როცა ხდება, იქ ბრალიანსაც ხვდება და უბრალოსაც.**

ამასთან, გია ყარყარაშვილი აცხადებს, რომ **არ ღირს იმ საკითხში ჩაღრმავება, მოჰყვება თუ არა ქისტების მუქარას ტერაქტები, მაგრამ მიიჩნევს, რომ ამ ტრაგედიის მიმართ ზუსტი დამოკიდებულება დიპლომატიურად ერთი სიტყვით გამოიხატება — ეს არის ცოდვა-ბრალი.**



ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს გამართული ქართულით დაწერილი ეს წერილი არ უკვირს, რადგან ძალიან ბევრმა ქისტმა ქართული იცის, ისინი ქართულ სკოლაში სწავლობენ და ამ პატარა ხეობას სამი-ოთხი კარგი პუბლიცისტიც ჰყავს.

ამასთან, მამუკა არეშიძე დარწმუნებულია, ქისტების მიერ ნახსენებ „ზოგიერთ ექსპერტში“ თავად იგი იგულისხმება, ამის მიუხედავად, მისი პოზიცია უცვლელია იმასთან დაკავშირებით, რაც იქ ხდება,

**„იმ კონდიციის ვაჰაბიტებს, რომლებიც ხეობაში არიან, ნამდვილად არ ვერჩი. ისინი ძირითადად რელიგიური მოღვაწეობით არიან დაკავებულნი და, ჩრდილო კავკასიელების მსგავსად, რელიგიას პოლიტიკურ ელფერს არ აძლევენ, ამის მიუხედავად, ძალიან კარგად ვიცი, რომ, სულ მცირე, ასლან გუმაშვილი და ბაღაკაშვილი ავსტრიიდან ვაჰაბიტური ჯამაათის ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით იყვნენ ჩამოსულნი, სწორედ ვაჰაბიტების ზოგიერთი წარმომადგენელი იყო, ვინც ხელს უშლიდა ხეობაში ჟურნალისტებს. არ ვამბობ, რომ ეს ვაჰაბიტები მთლიანად ერთ გუნება-განწყობაზე არიან, მაგრამ მათი ლიდერები არაადეკვატურად და თვისტომთა საზიანოდ იქცევიან. რაც შეეხება დანარჩენ ვაჰაბიტებს, იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი მოღვაწეობენ, არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს“.**

პრეზიდენტის მიმართ ქისტების მუქარასთან დაკავშირებით მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ ამას იგი ადრეც ვარაუდობდა და „ქრონიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პირველსავე დღეებში ამბობდა, რომ ეს აუცილებლად მოხდება, მისი თქმით, ქისტები ტრადიციის ხალხია და მათთვის იმ თვალსაზრისით მაინც უნდა გაეწიათ ანგარიში, რომ მიცვალებულები მაინც უნდა დაებრუნებინათ, რათა მათ თუნდაც განბანვის რიტუალი შეესრულებინათ.

ამ ეტაპზე მამუკა არეშიძე ვერ აკონკრეტებს, რა სახის შურისძიება შეიძლება მოჰყვეს ამ წერილს, მაგრამ ქისტების მხრიდან შურისძიება თუნდაც ის იქნება, რომ ხეობა, რომელიც არჩევნების კონტექსტში ორად გახლეჩილად ითვლებოდა, ახლა ერთსულოვანია და გასაგებია, ვისაც დაუჭერენ მხარს ადგილობრივები.

**„ესეც შურისძიების ერთ-ერთი ფორმაა“,** — აღნიშნა მამუკა არეშიძემ.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე პოლიტიკურად გამართულად დაწერილ აღნიშნულ წერილს ღიმილის მომგვრელად მიიჩნევს. მისი აზრით, ამ წერილებს პროვოკაციის სუნი უფრო ასდით და ეს ქისტი ხალხის რაღაც ნაწილის დამოკიდებულება არ უნდა იყოს.

**„შეიძლება, პრეზიდენტი მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, მაგრამ ერთს უნდა მივეჩვიოთ, პრეზიდენტი საქართველოს წარმოადგენს და მისი გადაწყვეტილებები საქართველოს გადაწყვეტილებებია“.**

ასე რომ, პრეზიდენტისგან ქვეყნის გამიჯვნა გიორგი თავდგირიძეს სახიფათო თემად მიაჩნია. მეტიც, მისი აზრით, მათი ერთიანობის გარეშე სახელმწიფო ვერ მოეწყობა.

ექსპერტის თვალთახედვით, ეს წერილი ერთი ადამიანის ნაფიქრალს უნდა გამოხატავდეს და ერთი ადამიანის ემოციაა, ასეთი ემოციური ადამიანები კი არც ქართველებს, არც ქისტებს არ აკლიათ. თუმცა, მისი აზრით, რეალურად, ჯგუფმა, რომელმაც ხელში იარაღი აიღო და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, იცოდა, რა რისკზეც მიდიოდა. თავდგირიძის აზრით, ქისტებმა ისიც იციან, რომ სახელმწიფოსთან ურთიერთობა სახუმარო საქმე არ არის და ნებისმიერ სახელმწიფოსთან ურთიერთობა ასეთია.

აქედან გამომდინარე, გიორგი თავდგირიძე ქისტების მხრიდან სისხლის აღებას არ ელის, მისი აზრით, ლოგიკურად, დიდი ხანია, პუტინმა ჩეჩნების სისხლი დაღვარა, მაგრამ ქისტების მიერ უშუალოდ პუტინისგან აღებული სისხლი არ ჩანს. ასე რომ, სამხედრო ექსპერტი მუქარას არასერიოზულად აღიქვამს და მასზე პედალირებას არავის ურჩევს.

სამხედრო ექსპერტი გიორგი მელითაური მიიჩნევს, რომ რთულია მსგავსი წერილის შეფასება, რადგან ეს უფრო პოლიტოლოგთა და ეთნოლოგთა კომპეტენციაა, იმის თქმაც არაა იოლი, თუ ვის მიერ არის დაწერილი წერილი, ვინ დგას ამის უკან და რა შეიძლება, ამას მოჰყვეს.

**თუმცა, ლოპოტის ხეობაში მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირების შეფასებისას, აცხადებს, რომ უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება ხელისუფლების წარმომადგენლებს არ დაემორჩილა.**

მელითაურის აზრით, **ქისტების მიერ პოზიციის წერილობითი ფორმით გამოხატვა გასაკვირი არაა. ბოლოს და ბოლოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამყაროში ვცხოვრობთ და ალ-ქაიდას გახმაურებული საინფორმაციო აქციებიც ამ კონტექსტში განიხილებოდა. 2011 წლის შემდეგ თითქმის ყოველ კვირას უსამა ბინ ლადენის წერილები და ვიდეომიმართვები ქვეყნდებოდა.**

მარიამ ლოლაშვილი

## ინფორმაცია

### სამრეწველო პალატის წარმომადგენლები „ქართული ოცნების“ ეკონომიკურ პროგრამას ეცნობიან

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ეკონომიკური პროგრამა საერთაშორისო სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს გააცნო. შეხვედრა საერთაშორისო სამრეწველო პალატის ინიციატივითა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზებით, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა.

როგორც ჟურალისტებს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ნოდარ ხადურმა განუცხადა, კოალიცია სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციას სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე ხშირად მართავს. მისივე თქმით, პროგრამა მოიცავს ყველა თემას, რაც უკავშირდება ბიზნესგარემოს ფორმირებას, საკუთრების უფლებების დაცვას, სასამართლოს და საგადასახადო სამსახურების პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლებას. როგორც ხადურმა აღნიშნა, ეს ის ფუნქციებია, რაც მონოპოლიების რეგულირებას და ხარისხის უზრუნველყოფას უკავშირდება.

— დიდი ინტერესი გამოიწვია სოფლის მეურნეობაში მილიარდი დოლარის ინვესტირებამ, რომელსაც ჩვენი ეკონომიკური პროგრამა გულისხმობს, ნაწილი იქნება ინვესტორების წილი, ნაწილი კი — სახელმწიფოს სახსრები. ეს კი საჭიროა, რათა ქართული სოფელი ერთხელ და სამუდამოდ წელში გაიმართოს, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

კოალიციის ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციაში მონაწილეობდა საქართველოში ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი.

ინტერპრესი

## საეჭვო ნოვაციები

### ვინ ექაჩება ქვეყნის მოსახლეობას წარსულისკენ?

მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა „მხედრიონის“ მსგავსი შეიარაღებული, გასამხედროებული ჯგუფები შექმნეს, დეპუტატებს პავლე კუბლაშვილს, კახა ანჯაფარიძესა და ზვიად კუკავას წარსულის ნოსტალგია კვლავ შემოაწვათ და შეიმუშავეს კანონპროექტი „ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც იქმნება საფინანსო სექტორის ახალი წარმონაქმნი — კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი. ის იქნება იურიდიული პირი, რომელიც სახსრებს 400-ზე მეტი პირისაგან მოიზიდავს, ან მის მიერ მოზიდული თანხების რაოდენობა 5 მლნ ლარზე მეტი იქნება. მას გააკონტროლებს ეროვნული ბანკი. ამ უკანასკნელს ექნება რეგისტრაციების გაცემისა და გაუქმების უფლება.

„ტროიკის“ ნოვაციას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ექსპერტთა შორის. დავით ლაშხია ამბობს, რომ პარალელური საბანკო სისტემა უარყოფითად იმოქმედებს როგორც საფინანსო სექტორზე, ასევე მეანაბრეებზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საბანკო ანგარიშების დაცვის სახელმწიფო გარანტიები არ არსებობს. ლაშხია არ გამორიცხავს, რომ განმეორდეს „პირამიდების“ 80-იანი წლების ანალოგი. საკრედიტო ინსტიტუტები ქართული საფინანსო სივრციდან უბრალოდ გაქრნენ, და დატოვონ ათასობით მოტყუებული და გალატაკებული ადამიანი.

საბანკო ექსპერტ ლია ელიავას მიაჩნია, რომ 2008 წლის საბანკო კრიზისის შემდეგ ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა საბანკო კაპიტალისადმი დამატებითი მკაცრი მოთხოვნები, ეროვნული ბანკი პარალელური საბანკო სისტემის შექმნით, მუხრუჭი ხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა. ამის შემდეგ ჩნდება კითხვა — ვინ უფრო ამუხრუჭებს ქვეყნის წინსვლას და უფრო უარესი — ვინ ექაჩება მოსახლეობას ავადმოსაგონარი 90-იანი წლებისაკენ, თავისი „მხედრიონითა“ და „გადაგდებული“ მეანაბრეებით?

ზაზა ბილიხოძე

# არჩევნებიდან არჩევნებამდე



(მეოთხე გვერდიდან) ადამიანებმა დაიწყეს ქვის სროლა. ნუთუ ოცდაათსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ქვის ხანა დაგვეძლია? ამ იარაღით ვცდილობთ ევრო-ამერიკულ სტანდარტებთან გათანაბრებას? ეს ხომ ათასწლეულების უკან დაბრუნებას ნიშნავს. ნებისმიერი იარაღის ჩართვა იმ პროცესში, რომელიც გონებამ უნდა გადაჭრას, არ მეტყველებს სერიოზულ პოლიტიკურ აზროვნებაზე.

ცივილიზებულმა ხალხებმა, ბოლო რომ მოღებოდა პრიმიტიული იარაღის (ქვისძ უმისამართო გამოყენებას, შორეულ წარსულში შექმნეს კანონები. არ არსებობს კანონი, რომელიც არ ქადაგებდეს სამართლიანობის დაცვას. პირველი კანონმდებლები თავიანთ მისიას ღმერთების ნების აღსრულებად წარმოსახავდნენ. „ქვეყნად სამართლის გამოსაბრწყინებლად, ბოროტებისა და უკეთურობის აღმოსაფხვრელად, ძლიერისგან სუსტის არდასაჩაგრავად... ქვეყნის გასანათებლად... ხალხთა საკეთილდღეოდ სახელი ჩემი გამოაცხადეს", ვკითხულობთ ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონების პრეამბულაში, რომელიც შექმნილია ძვ. წ. XVIII საუკუნეში. იმ დროიდან მოყოლებული კანონიერება გახდა მეტ-ნაკლებად ყველა კულტურული ხალხის ცხოვრების წესის განსაზღვრელი.

კანონები დახვეწილი სახით დაუტოვეს ისტორიას ანტიკური დემოკრატიის ქვეყნებმა (საბერძნეთმა და რომმაძ. სამართლიანი არჩევნებისა და კანდიდატის კეთილსინდისიერების კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს სპარტელი პედარეტეს სიტყვები. პლუტარქე ლიკურგოსის ბიოგრაფიაში წერს, არჩევნებში დამარცხებულმა პედარეტემ გახარებულმა წარმოთქვა, ბედნიერი ვარ, სპარტას ჩემზე უკეთესი 300 კაცი ჰყოლიაო. პლუტარქეს უფრო დიდი საოცრებაც აქვს გადმოცემული. მისი თხრობის თანახმად, მარათონის ბრძოლის (ძვ. წ. 490 წელიძ შემდეგ ათენში, სპარსეთის აგრესიის მოსაგერიებელ სამზადისში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი პოლიტიკური მოღვაწე, არისტიდე და თემისტოკლე. დავა იმ დონემდე გამწვავდა, რომ საჭირო გახდა სახალხო კრების დადგენილება. წინასწარ ცნობილი იყო, რომ კრების გადაწყვეტილებით დამარცხებულს სამშობლო უნდა დაეტოვებინა. დამთავრდა სხდომა, დაიწყო ხმის მიცემის პროცესი. არისტიდეს მიადგა ერთი გლეხი, რომელსაც ხელში სუფთა თიხის ფირფიტა (ოსტრაკონიძ ეჭირა და სთხოვა, წერა არ ვიცი და დამეხმარეო. არისტიდემ გამოართვა ფირფიტა და მიმართა, რა დავაწეროო? გლეხმა უთხრა, დააწერე არისტიდე. არისტიდემ თხოვნა შეუსრულა, ფირფიტა დაუბრუნა და ჰკითხა, რა დაგიშავა არისტიდემ? გლეხმა უპასუხა, არაფერი, მაგრამ მომბეზრდა იმის მოსმენა, ყველა რომ აქებს და ამბობს, სამართლიანიაო. დამთავრდა ხმის მიცემა. ათენის სახალხო კრებამ არისტიდე ათი წლით გააძევა სამშობლოდან. ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს პიროვნების კეთილსინდისიერი დამოკიდებულება კანონებთან. დიდმა ფილოსოფოსმა სოკრატემ არსებული კანონები იმდენად ხელშეუხებლად მიიჩნია, რომ ათენის ნაფიც მსაჯულთა აშკარად ცილისმწამებლურ ბრალდებას მორჩილება გამოუცხადა.

არჩევნებისა და ხმის მიცემის სისტემა თავისი შუქ-ჩრდილებით ჩამოყალიბდა ძველ რომში. მისი დადებითი და უარყოფითი რეციდივები თვალსაჩინოდ შეიმჩნევა თანამედროვე მსოფლიოს საარჩევნო პოლიტიკაში (გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენსძ.

მეფეთა ხანის დასასრულიდან (ძვ. წ. 509 წლიდანძ რომში ნებისმიერ თანამდებობას (კონსული, პრეტორი, ედილი, ქვესტორი, ტრიბუნიძ არჩევნების გზით იკავებდნენ (ძვ. წ. 180 წელს განისაზღვრა ასაკი, კარიერის საწყისად დაწესდა 30 წელიძ. თანამდებობაზე ირჩევდნენ ერთი წლის ვადით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. რომის მსოფლიოს სახელმწიფოდ გადაქცევამ გამოიწვია თანამდებობის მაძიებელთა რიცხვის გაზრდა, რადგან ერთწლიანი ციკლის შემდეგ ყოფილ მაგისტრატს შეეძლო პროვინციაში გამწესება საკმაოდ მაღალი გამორჩენის იმედით. კონსულები და პრეტორები – გამგებლებად, დაბალი რანგის მაგისტრატები – შესაბამის თანამდებობებზე. პროვინციის გამგებელი აღჭურვილი იყო ფართო უფლებამოსილებით, ევალებოდა რომაული ადმინისტრაციული სისტემის განმტკიცება, ხარკის აკრეფა და მისი მოცულობის განსაზღვრა, საომარი ოპერაციების წარმოება მოსაზღვრე ტერიტორიებზე. ხარკისა და სამხედრო ნადავლის დიდი ნაწილი გამგებლისა და წვრილი ჩინოსნების საკუთრებაში რჩებოდა. მათ შესახებ ამბობდნენ „მოვიდა ღარიბი, წავიდა მდიდარი". პროვინცია გაძარცული რჩებოდა. ამიტომ იყო ყოველთვის მაგისტრატურის განსაზღვრულ ვაკანსიაზე კანდიდატთა დიდი რაოდენობა. იმარჯვებდა ის, ვინც მდიდარი იყო და მეტი მხარის დამჭერი ჰყავდა. სიმდიდრე აუცილებელი ფაქტორი იყო. რომაული არჩევნების მანკიერებათა შესახებ კარგ ინფორმაციას გვაწვდის დიდი ორატორის ციცერონის უმცროსი ძმა კვინტუს ციცერონი. იგი გამარჯვების უმთავრეს პირობად თვლიდა მოსყიდვას, დაპირებებს, ლამაზი სიტყვებით ამომრჩეველთა გულის მოგებას, ღარიბების გულუხვ გამასპინძლებას. ყოველივე ეს დიდი რაოდენობით ფულს მოითხოვდა. ხშირად თანამდებობის მაძიებელი ვალებშიც ვარდებოდა, მაგრამ პროვინციის იმედით ამ დანაკარგზე მიდიოდა.

სახელსა და დიდებას რომაელები პროვინციებიდან იწყებდნენ. ამ რეალობას შესანიშნავად ადასტურებს ყველაზე დიდი რომაელის გაიუს იულიუს ცეზარის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობა. ცნობილია, რომ პრეტორის თანამდებობის დაკავება მას ძვირი დაუჯდა და ვალიც დაედო. პროვინცია ესპანეთში ერთწლიანი საქმიანობით დავალიანება დაფარა და შეუდგა უფრო მაღალი – კონსულის თანამდებობისთვის ბრძოლას, რაც გაცილებით მეტ ხარჯებს მოითხოვდა. მიზნის მისაღწევად მან შეადგინა ფარული ორგანიზაცია, პირველი ტრიუმვირატი (ცეზარი, პომპეუსი, კრასუსი – ჭკუა, ძალა, ფულიძ. გავლენიანი მხარდამჭერების დახმარებით გახდა კონსული, ხოლო შემდეგ ძლევამოსილად დალაშქრა მთელი დასავლეთი ევროპა და უზარმაზარი ნადავლით დაბრუნდა რომში, როგორც უმდიდრესი ადამიანი (ძვირფასეულობის გარდა მის მფლობელობაში შედიოდა ერთ მილიონამდე ტყვეძ. რომის ისტორიის ბედი გადაწყვიტა გალიის ომში გამოწრთობილმა ცეზარის არმიამ. საკამათო არ არის ის ფაქტი, რომ მმართველობის რესპუბლიკური ფორმების უკმარისობამ განაპირობა არჩევნების ანომალია და გზა გაუხსნა ხელისუფლების იმპერიული სისტემის დამყარებას.

ქართველთათვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ არ არსებულიყო პარალელები ძველ რომაულ არჩევნებთან, მაგრამ რომ არსებობს, ვერსად გავექცევით. რომაული არჩევნები იყო პროვინციების ძარცვისაკენ მიმავალი გზა. მაგისტრატი სისხლს ღვრიდა, ბეწვის ხიდზე გადიოდა, სიმდიდრეს ჭრილობებისა და ხშირად სიცოცხლის ფასად მოიპოვებდა. ქართული არჩევნები არის უშრომელად და უხიფათოდ თანამებრძოლთა ძარცვის საშუალება, შენიღბული მზრუნველობის ფარისევლური მანტიით. მრავალ სიყალბეს არჩევების წინ დაემატა ახალი სატყუარა: „მეტი სარგებელი ხალხს" (და აშკარა დაცინვა – დასაქმების სამინისტროს სახით. სად არის საქმე?ძ. ამ უაზრობას მსხვილ-წვრილი ნაციონალები ისე წარბშეუხრელად იმეორებენ, რომ ხალხი ყრუდ და უბირად ჰყავთ წარმოდგენილი. ნეტარ მორწმუნეებს ეჭვი თუ ეპარებათ, აილონ ტაშის დამკვრელთა (პარლამენტარებისძ წლიური (ან თვიურიძ ანაზღაურება, შეუდარონ არანაციონალის მწირ შემოსავალს და დარწმუნდებიან, რა შორს არის მზის სისტემის ნებისმიერი პლანეტა დედამიწისაგან – რა შორს ვართ ქართველები სპარტელი პედარეტესა და ათენელი არისტიდესაგან და რა ახლოს ვდგავართ ძველ რომაელებთან (თუ არ გავუსწარითძ. თუმცა რომში კანონებს ლებულობდნენ და სახელმწიფოებრივ საკითხებს წყვეტდნენ გამოცდილი და მცოდნე ადამიანები, ქართული პარლამენტი გამოცდილ და ნაკლებმცოდნეთა საკრებულოა. უკანასკნელ ხანებში დაისახა მისი გაახალგაზრდავებისა და შევსების გეგმა კანონმდებელი ვუნდერკინდებით. ამიტომაც მიდის ჩვენი სამშობლო გაურკვეველი მიმართულებით.

ვარსკვლავებთან მოთამაშეთა ოქროპირობა გრძელდება. წარმოსახვაში მრავალი ბროლის კოშკი აღიმართა, რომელთა არსებობა ბუნდოვან მოგონებად დარჩება იმას, ვისაც მეხსიერება არ ღალატობს.

ნაციონალების მშვიდ და მოწმენდილ ცაზე ერთი წლის წინათ მეხი გავარდა. პოლიტიკაში ჩაერთო ქართულ რეალობაში სწორუპოვარი მეცენატი და თანამედროვე ეკონომიკურ თუ ფინანსურ ტექნოლოგიებს ღრმად დაუფლებული პიროვნება ბიძინა ივანიშვილი. მისმა დიდმა ავტორიტეტმა დაარღვია საქართველოს „საყდრული მყუდროება" და ნაციონალების ახდენილ ოცნებას და დაპირებებზე აგებულ ციხე-სიმაგრეს დასანგრევად შეუტია. გადარჩენის ინსტიქტით შეძრულმა ხელისუფლებამ დაუნდობელი ომი გამოუცხადა კაცს, რომელსაც საკუთარი ოცნება შესრულებული აქვს და ბრძოლას იწყებს თანამოძმეთა ოცნებების განსახორციელებლად. ნაციონალები გრძნობენ, რომ ბ. ივანიშვილს ძალუძს დანაპირების შესრულება და ამიტომ ვერ ეგუებიან ახლო წარსულში თავიანთი დამფინანსებლის განდგომას.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ცალკეულმა ოპოზიციურმა პარტიებმა ბ. ივანიშვილის აუგად მოხსენიებაში ნაციონალებსაც კი გადააჭარბეს. ნუთუ სჯერათ, რომ ქართული ოცნების თანაბარ ძალას წარმოადგენენ? თუ გადავრჩით, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

ძველი სიბრძნე – ისტორია არის ცხოვრების მასწავლებელი, არავის ახსოვს. სწავლობს ის, ვისაც სწავლის უნარი და სურვილი აქვს. საუბედუროდ ვერაფერს ვსწავლობთ და წარსულ შეცდომებსაც გულმოდგინედ ვიმეორებთ.

ეროვნული შენობის ასაგებად თითოეულ სრულასაკოვან (და სრულ ჭკუაზე მყოფძ ადამიანებს უწვრილესი კენჭი ექლევა (ცივილიზაციის ადრეულ სტადიაზე მომხრე-მოწინააღმდეგეებს კენჭების რაოდენობით არკვევდნენძ, მისი მოვალეობაა კენჭი ისე დადოს, რომ ძეგლის მთლიანი ხუროთმოძღვრება არ დაზიანდეს. ქართველები ამ კენჭებს საკმაოდ უდიერად ვიყენებთ და შემდეგ გვიკვირს, რატომ ხდება ის, რაც ხდება.

მომავლის „მშენებლები" ოქროპირებად გადაიქცნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს განვლილი რვა წელი ისინიც დამპყრობლის უღელქვეშ იმყოფებოდნენ, ახლა განთავისუფლდნენ და დაიწყეს ყველაფრის მომცველი დაპირებების გულუხვად ჩამორიგება. წინა წლების დაპირებები შესრულებულად ჩაგვითვალეს. „წარმატებები" და ზღაპრული „სიმაღლეები" იმის წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ, რომ ქართველებმა თეთრი და შავი გავარჩიოთ და ის პატარა „კენჭი", რომლითაც ეროვნული კოლოსი უნდა აიგოს, გონივრულად გამოვიყენოთ.



**გრანი ქავთარია**

## ინფორმაცია

### „ლეიბორისტების" ორმა წევრმა „ქართული ოცნების" სასარგებლოდ კანდიდატურები მოხსნა

**აჭარელი „ლეიბორისტების" ორმა წევრმა „ქართული ოცნების" სასარგებლოდ კანდიდატურები მოხსნა. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში „ლეიბორისტების" ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატმა თამაზ დევაძემ „ქართული ოცნების" ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატის, მურმან დუმბაძის სასარგებლოდ კანდიდატურა მოხსნა, ხოლო ბიძინა დუმბაძემ – ხელვაჩაურის დეპუტატობის კანდიდატ თემურ კახიძის სასარგებლოდ. როგორც თამაზ დევაძემ და ბიძინა დუმბაძემ „ქართული ოცნების" ბათუმის ოფისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, მათ პრინციპული შეუთავსებლობა ჰქონდათ „ლეიბორისტული პარტიის" იდეოლოგიასთან.**

### „ქართული ოცნება" აქციას ზუგდიდის მთავარ მოედანზე ჩაატარებს

**პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" მხარდამჭერი აქცია 22 სექტემბერს ზუგდიდის მთავარ მოედანზე გაიმართება. აქციის მთავარ მოედანზე გამართვის შესახებ ნებართვა კოალიციამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან უკვე მიიღო.**

**„ქართული ოცნების" ზუგდიდის შტაბის ხელმძღვანელის მერაბ ქვარაიას განცხადებით – „კოალიცია უამრავ მხარდამჭერს ელოდება და ზუგდიდის აქცია იქნება ახალი ეტაპის დასაწყისი ქართულ რეალობაში. „ქართული ოცნების" აქცია ზუგდიდში 9 სექტემბერს უნდა გამართულიყო, გამართვა საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე განვითარებული მოვლენების გამო, ორი კვირით გადაიდო.**

ინტერპრესი

## „რეფორმირებული“ უმაღლესი განათლება

**„სოლიდარობა რეპრესირებულ პროფესორებს — 1937-2012“, „ძირს განათლების გაუნათლებელი სისტემა“, „თავისუფლება უნივერსიტეტს“, „ლექტორები პოლიტიკური და შიდაკლანური თამაშის მიხედვით არ უნდა შეირჩეოდნენ“, — ასეთი ტრანსპარანტებით შეეგებნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ახალი სასწავლო წლის დაწყებას.**

სტუდენტების ერთ-ერთი ლოზუნგი იყო — **„არ გვინდა სტუდენტი დეკანი“,** რასაც მათი ადრესატი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ანდრო ბარნოვი ასეთნაირად გამოეხმაურა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საბუთების სახელმწიფო უნივერსიტეტში გადატანა მისი მხრიდან იყო ჟესტი და მან ამით აჩვენა, რომ სწავლის გაგრძელება იქ სურდა, სადაც უკეთესი პირობები იყო, ანუ თსუ-ში. თუმცა, დეკანის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში იგი სწავლას არ აპირებდა.

თავის მხრივ, პროტესტანტი სტუდენტები დილიდანვე რექტორთან შეხვედრას მოითხოვდნენ და უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებლების დათხოვნას აპროტესტებდნენ. ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ანდრო ბარნოვის გადადგომას მოითხოვდნენ იმ მოტივით, რომ ბარნოვი ხელისუფლების ყოფილი ჩინოსანი გახლდათ. ამდენად, სტუდენტები არც მალავდნენ, რომ ბარნოვის გათავისუფლება მათთვის წმინდა პრინციპული საკითხი იყო. მათ მოთხოვნებს შორის, ასევე, იყო რეგენტთა საბჭოს გაუქმება და სასწავლო ბაზების მოწესრიგება. აქციას სტუდენტური გაერთიანება „ლაბორატორია 1918“-ი ხელმძღვანელობდა.

თსუ-ს პირველ კორპუსთან დაწყებულმა აქციამ მალე უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის კაბინეტთან გადაინაცვლა, სადაც სტუდენტები სკანდირებდნენ: „გამოდი, გამოდი“, „გეშინოდეთ ჩვენი“. მართლაც, სანდრო კვიტაშვილი მათთან გავიდა და განაცხადა, რომ სტუდენტების მოთხოვნები ნაწილობრივ სამართლიანია, თუმცა შეძახილები — „გეშინოდეთ ჩვენი“ საქმეს წინ ვერ წაწევდა და რექტორატსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობები ასე ვერ მოწესრიგდებოდა.

მალე სტუდენტებსა და რექტორს შორის შეკამათებაც მოხდა. სტუდენტებმა ალექსანდრე კვიტაშვილს პირდაპირ განუცხადეს, რომ უნივერსიტეტში ავტოკრატიაა და მაღალი გადასახადების შესაბამისი სწავლების დონე არ არის, რექტორი, რექტორატი და რექტორატთან დაახლოებული პირები მაღალ ხელფასებს იღებენ, საქმე კი არ კეთდება. ახალგაზრდები რექტორს დაპირებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებდნენ. კერძოდ, ალექსანდრე კვიტაშვილი მათ თურმე ბაზების გამართვას, თვითმმართველობის მოძალადე წევრების დასჯას დაჰპირდა, მაგრამ არ შეასრულა. ამდენად, სტუდენტების თქმით, მათ რექტორის ნდობა აღარ ჰქონდათ. სიტყვიერი პაექრობისას რექტორი რატომღაც მისი მისამართით გამოთქმული შენიშვნების ავტორთა ვინაობით დაინტერესდა და ცალკეულ სტუდენტებს სახელისა და გვარის თქმა მოსთხოვა. ამაზე სტუდენტები აღშფოთდნენ და რექტორს უსაყვედურეს, რომ იგი პრობლემების კონკრეტულ პიროვნებებამდე დაყვანას ცდილობდა და სტუდენტების ვინაობაში ჩაძიება სულაც არ იყო საჭირო.

ალექსანდრე კვიტაშვილმა უნივერსიტეტიდან ლექტორების, ნოდარ ხადურისა და ლელა გაფრინდაშვილის წასვლასთან დაკავშირებულ საკითხზეც ისაუბრა. რექტორის თქმით, ორივე ლექტორთან მას კარგი ურთიერთობა აქვს და ისინი უნივერსიტეტიდან პოლიტიკური ნიშნით არავის გაუთავისუფლებია. თუმცა, აღნიშნულმა ლექტორებმა გარკვეული საკონკურსო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს. მაგალითად, ლელა გაფრინდაშვილმა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად საკონკურსო განაცხადში სასწავლო სილაბუსები არ მიუთითა. თუმცა, კვიტაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთი კონკურსი ცხადდება და, პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიუხედავად, ნებისმიერ ლექტორს აღნიშნულ კონკურსებში მონაწილეობა და გამარჯვება შეუძლია.

# კვიტაშვილის ზღაპრები: ვაცალოთ ანდროს!






**„თქვენ არ ხართ უნივერსიტეტის ღირსი, თუ გინდათ, წაბრძანდით ილიაუნში და იქ ისწავლეთ, ან იჯექით „მოდელირებულ ქრონიკაში“ და რუსეთის კვლევის ინსტიტუტში. არ არის უნივერსიტეტი თქვენი საბოგინო, თქვენ ხართ ემისარი“.**

ამასთან, ალექსანდრე კვიტაშვილი ანდრო ბარნოვის საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ ბარნოვი ხელისუფლების მხრიდან დეკანად არავის დაუნიშნავს. უფრო ზუსტად, იგი თავად რექტორის თხოვნით მისულა აღნიშნულ თანამდებობაზე.

**„ანდრო ბარნოვი უკვე აღარ მუშაობდა სამხედრო აკადემიაში და მე მოვიწვიე. ბარნოვი დეკანად 15 აგვისტოდან მუშაობს და არც ისე დიდი დროა, რომ შევაფასოთ, კარგად მუშაობს თუ ცუდად. ის არც არჩეულია და არც დანიშნული, მოწვეულია ექვსი თვით და მერე გახდება ცნობილი, ავირჩევთ თუ არა დეკანად. ამას ბარნოვის აქტივობა და საქმიანობა გვიჩვენებს“,** — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

მოგვიანებით, სტუდენტებმა რექტორს სააქტო დარბაზში გადასვლისკენ მოუწოდეს, თუმცა რექტორმა განაცხადა, რომ ასეთ რეჟიმში აღელვებულ სტუდენტებთან შეხვედრა წარმოუდგენელი იყო.

ამის შემდეგ ახალგაზრდებმა სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს და პირველკურსელებს მოუწოდეს, უნივერსიტეტის თავისუფლებისთვის ბრძოლაში მათაც მიეღოთ მონაწილეობა. მათი განმარტებით, დღეს უნივერსიტეტის თავისუფლების ხარისხი ძალიან დაბალია და იმისთვის, რომ უნივერსიტეტი თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს, საჭიროა რეგენტთა საბჭოს დაშლა და ავტონომიის დაბრუნება.

17 სექტემბრის აქციებმა უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსი მოიცვა. პირველი კორპუსის შემდეგ ახალგაზრდებმა უკვე მეექვსე კორპუსთან გადაინაცვლეს, საბოლოოდ კი თსუ-ს მესამე კორპუსთან გააპროტესტეს უნივერსიტეტის საქმეებში ჩარევა.

თსუ-ს მეექვსე კორპუსთან შეკრებილ აქციის მონაწილეებთან ანდრო ბარნოვიც გავიდა. სტუდენტები მას საპროტესტო შეძახილებით შეხვდნენ. ბარნოვმა მათ შენობაში შესვლა და დიალოგის დაწყება შესთავაზა, იმასაც დაჰპირდა, რომ ლელა გაფრინდაშვილის გათავისუფლების შესახებ საბუთებსა და კონკრეტულ ბრალდებებს გააცნობდა. თუმცა, სტუდენტები მას არ შეჰყვნენ და ამ საბუთების განსაჯაროება იქვე, მეექვსე კორპუსის წინ, მოსთხოვეს. აქვე კიდევ ერთხელ დაუფიქსირეს ბარნოვს, რომ მათ თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილესთან არაფერი ესაქმებოდათ და სჭირდებოდათ ისეთი დეკანი, რომელიც ფაკულტეტს განავითარებდა და სტუდენტების უფლებებს არ შეზღუდავდა.

სტუდენტებისგან ანდრო ბარნოვს შემდეგი სიტყვების მოსმენა მოუწია: „თქვენ არ ხართ უნივერსიტეტის ღირსი, თუ გინდათ, წაბრძანდით ილიაუნში და იქ ისწავლეთ, ან იჯექით „მოდელირებულ ქრონიკაში“ და რუსეთის კვლევის ინსტიტუტში. არ არის უნივერსიტეტი თქვენი საბოგინო, თქვენ ხართ ემისარი“.

თავის მხრივ, სტუდენტების ლოზუნგებსა და შეძახილებს ანდრო ბარნოვმა პოლიტიკური ზეწოლა უწოდა.

ამის შემდეგ ახალგაზრდებმა უკვე თსუ-ს მესამე კორპუსთან გამართეს აქცია. მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ისინი აქციების შეწყვეტას არ აპირებენ და სხვა უმაღლესების სტუდენტებსაც მოუწოდებენ, საპროტესტო ტალღას შეუერთდნენ.

და ბოლოს, თსუ-ს სტუდენტების ერთ-ერთ ტრანსპარანტზე სხვადასხვა პარტიის საარჩევნო ნომრები იყო გადახაზული, მათ შორის, ნაცმოძრაობის № 5, „ქართული ოცნების“ №41, რაც იმას მიუთითებდა, რომ სტუდენტთა აქცია აპოლიტიკური იყო.

**For.ge** სტუდენტებსაც გაესაუბრა.

„ლაბორატორია 1918“-ის წევრი, სტუდენტი **სანდრო ცაგარელი** აცხადებს, რომ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ისინი სტუდენტური აქციების გაგრძელებას აპირებენ.

**„ანდრო ბარნოვს აუცილებლად დავაბრუნებინებთ დათხოვნილ ლექტორებს. მასთან შეხვედრით უკმაყოფილონი ვართ. მან, ისევე, როგორც სანდრო კვიტაშვილმა, განაცხადა, რომ თურმე პასუხს ვერ გაგვცემდა. ეს ადამიანი უნივერსიტეტში ჩვეულებრივ იმისთვისაა დანიშნული, რომ ფაკულტეტზე რეპრესიული პოლიტიკა გაატაროს. სანდრო კვიტაშვილმა კი ტყუილები გვითხრა, თითქოს სასწავლო ბაზებზე პრობლემა არავის ჰქონდა“,** — აღნიშნა სანდრო ცაგარელმა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის **ვაჟა ქორიძის** თქმით, მათი საბოლოო და წარუვალი მოთხოვნა უნივერსიტეტიდან გათავისუფლებული ლექტორების დაბრუნებაა.

**„თუ ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, საკუთარ თავს დააბრალონ, რადგან სტუდენტები არ გაჩერდებიან. ანდრო ბარნოვთან შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო და ვერც გამოიღებდა, რადგან ის ლაპარაკობდა, როგორც ნაციონალებისგან პირდაპირ დანიშნული პირი. ზუსტად ამას ვაპროტესტებთ, რომ არც ერთი ადამიანი არც ერთი პარტიიდან არ უნდა იყოს უნივერსიტეტში. ეს არის დამოუკიდებელი სასწავლო კერა და უნდა დასრულდეს უნივერსიტეტის პოლიტიზება“.**

ვაჟა ქორიძის თქმით, ამ დღეებში სტუდენტები კიდევ უფრო გაერთიანდებიან და გაცილებით დიდ საპროტესტო ტალღას ააგორებენ.

**მანანა ნოზაძე**

## წკეპლიკა

# ჩვენი საბრალო ხმები ოთხ წელიწადში ერთხელ გახსენდებათ!

**ოლიმპიური** თამაშების წლები ყოველთვის მიყვარდა, ოლიმპიადას მართლაც სპორტის ზეიმად, სპორტის მსოფლიო დათვალიერებად აღვიქვამდი; მაგრამ ამ წლებზე დარჩენილ (შემორჩენილ!) საქართველოში საპარლამენტო არჩევნებიც მოდის და ჩამმწარდება ხოლმე „ოლიმპიური“ სიხარული.

ჩამწარებაა, აბა რა — მიმოვიხედოთ, რამხელა საარჩევნო ხმაურია ირგვლივ, რამხელა აურზაური, როგორი სიყალბე, თვალთმაქცობა და მატყუარობა ისადგურებს, რა „ცირკული“ რეკლამები ტრიალებს ტელეეკრანზე; მაგალითად, ასეთი: საქართველო წარსულში ველარ დაბრუნდება, შევარდნაძისა და მისი გუნდის მმართველობის პერიოდში — თითქოს იმ წარსულში აწმყოელი (აწინდელი!) მმართველებიდან ცოტანი შედიოდნენ შევარდნაძის გუნდში, სულ მაღალი ახლანდელი მმართველით დაწყებული; ანდა ის რეკლამა, ბათუმელი მურმან დუმბაძე ბოდიშს რომ უხდის ასლან აბაშიძეს...

დიახ, მიდის გამაღიზიანებელი ნერვებისმომშლელი წიწკნა-გლეჯა ხალხის ხმებზე, ოთხწლეულში რომ მარტო ერთხელ „მოენატრებათ“ ხოლმე.

თქვე კაი წარსულშიდაუბრუნებლებო, ქუთაისში პარლამენტის გადაგორებისას თუ გაგახსენდათ ხალხის ხმები, რეფერენდუმი თუ ჩაატარეთ — უნდოდა თუ არა მოსახლეობას ეს? მოსახლეობას კი არა, უფრო „ვიწროდ“ — თვით პარლამენტარებს თუ დაეკითხა ვინმე რამეს, ან პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს, ახლა რომ თურმე გამწარებულები დარბიან ქუთაისში საცხოვრისის მოსაძიებლად... დავით აღმაშენებლის ძეგლს რომ გამოუძახეთ თბილისგარეთ ავტოინსპექტორად დასადგომად — თბილისელ მოქალაქეებს თუ გაუწიეთ ანგარიში? გორში სტალინის ძეგლი რომ გადმოაყირავეთ და სანაგვეზე მიაგდეთ — გორელებს თუ ჰკითხეთ რამე და ასეთ სირცხვილში ჩააგდეთ? უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოში რომ ამდენი ბითურული, უგუნური, წინგაუხედავი კანონი მიიღეთ — რომელიმეს პროექტი თუ გამოგიტანიათ ხალხის სამსჯავროზე?..

ახლა რომ ამომრჩეველთა ხმებზე ნადირობა გაგიჩაღებიათ, „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობაზე“ უმძაფრეს და უგრანდიოზულეს, რად გინდათ ეგ ხმები, როცა კაი ხანია უბედურ დარჩენილ საქართველოში ერთი, ერთადერთი ხმა სწყვეტს ყველაფერს: სად გადავიდეს პარლამენტი, მტკვარზე სად გაიდოს ხიდი, სად გაშენდეს ქალაქი, სად აშენდეს მილიარდიანი სრა-სახლი, სად წამოიჭიმოს ამერიკელი პრეზიდენტის ძეგლი, ვინ და რა „დამსახურებით“ წამოსკუპდეს მინისტრად, რომელ რიცხვში და კვირის რა დღეს დაინიშნოს არჩევნები... ჰოდა, კეთილ ვინებოთ და იმ ერთ, ერთადერთ ხმას ავარჩევინოთ პარლამენტის შემადგენლობა, რომელიც ყოველ სხდომაზე ოდენ ხალხისათვის მეტ სარგებელზე იფიქრებს და იმსჯელებს...

ეგ არამც და არამც არ არის „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ეგ გახლავთ ხმა ყბადამღებისა და ხმალამღებლისა ყველასი და ყველაფრისა, ყველასა და ყველაფერზე, ვინც და რაც კი სათავისოდ არ ეჩვენება.

ეგ ხმა ზაქარია მხარგრძელს არა, მაგრამ ერთ ტანგრძელს, ერთ ხმაგრძელს ეკუთვნის და მას ეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი...

**ბერდია ბედოიძე**

◉ არჩევნების წინ

# ოქტომბრის არჩევნები — გადამწყვეტი გამოცდა საქართველოსთვის

**„გადამწყვეტი გამოცდა ქართული დემოკრატიისთვის“. ასეთი სიტყვები წარმოთქვა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გასულ კვირას თბილისში მოგზაურობის დროს. საქართველოში არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით რუსეთი აძლიერებს ზეგავლენას რეგიონში, და საერთაშორისო გაერთიანებას ეშინია კავკასიაში შესაძლო დესტაბილიზაციის გამო.**

„პარლამენტის არჩევნები ოქტომბერში და პრეზიდენტის არჩევნები 2013 წელს იქნება გადამწყვეტი გამოცდა ქართული დემოკრატიისთვის“, — განაცხადა ხუთშაბათს ანდერს ფოგ რასმუსენმა პრესკონფერენციაზე თბილისში ჩასვლასთან დაკავშირებით.



ქართული დემოკრატია გზაგასაყარზეა. ერთ ნაციონალურ მოძრაობას (პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიააძ უწევს საქმე ჰქონდეს პოპულისტურ და ქსენოფობურ კამპანიასთან — ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებასთან“, რომელიც ახლოა რუსეთის ინტერესებთან. თუმცა, ეს არ აშინებს პრეზიდენტ სააკაშვილს იცავდეს არჩეულ კურსს. „1 ოქტომბერს ჩვენ მოვაწყობთ ყველაზე თავისუფალ და გამჭვირვალე არჩევნებს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში“, — განაცხადა მან.

ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი დაემთხვა კავკასიაში მზარდ დაძაბულობას. აგვისტოში ვლადიმერ პუტინმა აღიარა, რომ საქართველოზე შეტევა დაგეგმილი იყო გენერალური შტაბის მიერ, ვინაიდან რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გადაწყვიტეს ტრადიციული სწავლება რეგიონში ივნისიდან სექტემბრისთვის გადაეტანათ.

საქართველოს აზრით, გადაწყვეტილება — გადაიტანონ სწავლება „კავკასია-2012“ (იგი გათვალისწინებულია 17-დან 23 სექტემბრამდეძ — არის პროვოკაცია პარლამენტის არჩევნების წინ, რომელიც ერთი კვირის შემდეგ გაიმართება. იმ დღეს, როდესაც ქართველები მივლენ საარჩევნო უბნებში, კავკასიაში იქნება 8 ათასი რუსი ჯარისკაცი ფლოტისა და ავიაციის მხარდაჭერით. სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ არმიის ძალები, დაცვის ფედერალური სამსახური, უშიშროების ფედერალური სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, აგრეთვე ჯარები საქართველოს ორი სეპარატისტული რესპუბლიკიდან — აფხაზეთიდან და სამხრეთი ოსეთიდან.

რუსეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის ალექსანდრ პოსტნიკოვის სიტყვებით, სწავლების დროს გათვალისწინებულია რაკეტების — „ისკანდერი“ — გაშვება 500 კილომეტრის მაქსიმალური სიშორით.

მართალია, მოსკოვში იზრუნეს იმისთვის, რომ სწავლებაში არ იყოს ამოქმედებული მისი კავკასიის სამხედრო ბაზები (და კერძოდ, 58-ე არმიის ძალები, რომლებიც უტევდნენ საქართველოს 2008 წელსძ, ზოგიერთი მეთვალყურე მაინც აღნიშნავს, რომ მომავალ სწავლებათა მიზანი არის ის, რომ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანონ ჩრდილოეთი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები და მოახდინონ ერთგვარი ზემოქმედება მოსახლეობაზე, რომ მან თავისი ხმა მისცეს ივანიშვილს, ვინაც კრემლის მხარდაჭერა მიიღო.

მოსკოვის აზრით, საქართველო შეიძლება იყოს განვითარების მიმზიდველი მოდელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის. ამრიგად, მოსკოვი ცდილობს, მოახდინოს თბილისის დესტაბილიზაცია, რათა შეინარჩუნოს კონტროლი „ახლო საზღვარგარეთთან“. ამის შესახებ, კერძოდ, წერს ცნობილი რუსული ბლოგერი „ზაბუდინა“. ასეთსავე აზრს იზიარებს ჟურნალისტი ალექსანდრ პოდრაბინეკიც, რომელიც არ გამორიცხავს ომის შესაძლებლობას — ისეთისა, როგორიც 2008 წელს იყო.

AGORA VOX

# სწავლება კავკასიაში რეგიონის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის

**მასშტაბური სამხედრო სწავლება „კავკასია-2012“, რომელიც რუსეთის სამხრეთში ორშაბათს იწყება, საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და უშიშროებას არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელს რეგიონსაც, აცხადებენ თბილისში.**

„ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, თუ რა შედეგი გამოიღო რუსეთის 2008 წლის სწავლებამ, რომელიც თავისი მასშტაბით გაცილებით მცირე იყო და რომელშიც გაცილებით უფრო შეზღუდული ძალები ღებულობდნენ მონაწილეობას“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ორშაბათს.

როგორც ბი-ბი-სის რუსული სამსახურის კორესპონდენტი თბილისში ნინო ახმეტელი იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ საქართველოს და მისი პარტნიორების დიპლომატიურმა ძალისხმევამ მიგვიყვანა იმასთან, რომ საერთაშორისო გაერთიანება უფრო მწვავე საკითხებს აყენებს რუსეთის წინაშე ამ სამხედრო სწავლებასთან დაკავშირებით.

სამხედრო მანევრებმა რუსეთის სამხრეთში ასევე გამოიწვია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მონაწილე ქვეყნების შეშფოთება.

სწავლება გაიმართება ორ ეტაპად ჯარების პრაქტიკული მოქმედებებით ოთხ სამხედრო პოლიგონზე და შავი და კასპიის ზღვის ეკვატორიებში. პირველი ეტაპი გაიმართება კრასნოდარის მხარეში სამხედრო პოლიგონზე „რაევსკი“.

სწავლების პირველ დღეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სახელმწიფო ჯილდოები უნდა გადასცეს გამორჩეულ სამხედრო მოსამსახურეებს, იტყობინება კრემლის პრესსამსახური.

### დაუსაბუთებული პრეტენზიები?

გასული კვირის ბოლოს ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუსეთს მოუწოდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა სწავლების დროს.

„ჩვენ არ ვართ სწავლების მოწყობის წინააღმდეგი, ჩვენ მოგიწოდებთ გამჭვირვალობას, ეს ურთიერთნდობის საფუძვლად მიგვაჩნია. მაშ ასე, როგორია სწავლების მიზანი, სად და როგორ გაიმართება იგი? — შეეკითხა რასმუსენი ტელეარხ „ევრონიუსს“ ინტერვიუში, — ჩვენ არ მიგვიღია არანაირი ოფიციალური ინფორმაცია რუსეთისგან და ძალიან ვწუხვართ ამაზე“.

„არანაირი დამოკიდებულება მოვლენებთან სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ამ სწავლებას არ გააჩნია“, — ალექსანდრ პოსტნიკოვი, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე.

მოსკოვში ამ პრეტენზიებს დაუსაბუთებელი უწოდეს.

„ხმაური, რომელიც ატეხეს სასარდლო-შტაბური სწავლების „კავკასია-2012“-ის გამო, თავისი მასშტაბურობითა და შეფასებათა წინასწარაკვიატებულება უკვე იძენს რეჟისორის მიერ დადგმული საინფორმაციო კამპანიის ხასიათს“, — განაცხადა ორშაბათს გაზეთ „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნატოსთან რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლაი კორჩუნოვმა.

მისი სიტყვებით, სწავლების მომზადება მიმდინარეობდა მაქსიმალურად გამჭვირვალედ: „დიპლომატებსა და ჩვენი პარტნიორების სამხედრო ატაშეებს მოსკოვში ჰქონდათ სრული ინფორმაცია სწავლების ამოცანებისა და ხასიათის შესახებ რუსეთის სამხრეთში. მათ არ შეეძლოთ ეს ინფორმაცია არ მიეწოდებინათ თავიანთი დედაქალაქებისთვის“.

მოსკოვი არაერთგზის აცხადებდა, რომ მომავალი მანევრები არანაირად არ არის დაკავშირებული რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში საშინაო ვითარებასთან, და, კერძოდ, საქართველოში მომავალ არჩევნებთან.

„ეს სტრატეგიული სასარდლო-შტაბური სწავლება დაგეგმილი იყო ჯერ კიდევ 2011 წელს. და იგი არის ამგვარი გაქანების წინა სწავლებათა გაგრძელება... არანაირი დამოკიდებულება სხვა ქვეყნების მოვლენებთან, მათ შორის საქართველოს მოვლენებთან, ამ სწავლებებს არ გააჩნიათ“, — განაცხადა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ პოსტნიკოვმა.



BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ავღანელმა თვითმკვლელმა შური იძია ანტიისლამური ფილმის გამო და ააფეთქა ავტობუსი, რომელშიც უცხოელები ისხდნენ**

აფეთქების შედეგად, რომელიც გაისმა ქაბულის საერთაშორისო აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე, დაიღუპა სულ ცოტა 12 კაცი. პასუხისმგებლობა ტერორისტულ აქტზე იკისრა ისლამის სამხედრო ორგანიზაციამ „ხიზბი-ისლამი“, ამასთან ერთად განმარტა, რომ აფეთქება მოაწყო „შაჰიდისსარტყლიანმა“ თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა.

* * *

**პაკისტანმა რუსეთს გაუსწრო: მან დახურა მთელი „იუთუბი“ „მუსლიმანების უდანაშაულობის“ მოხსნამდე**



რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოში წარადგინა სარჩელი მოთხოვნით აიკრძალოს „მუსლიმანების უდანაშაულობა“ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. რუსეთის ზედამხედველობა „დაბეჯითებით ურჩევდა“ ოპერატორებს დაბლოკონ ფილმისადმი მიდგომა სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში. თავად ფილმის შემქმნელები თავიანთი სახლებიდან გაიქცნენ.

* * *

**გამოკვლევა ლონდონში: ქალაქის მოსახლეობაზე ბაზარში ვირთხის ხორცს ჰყიდნენ**



„ბი-ბი-სის“ ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ ბაზრის მყიდველებს სთავაზობდნენ გარეული ცხოველების ხორცს, მათ შორის ლერწმების დიდი ვირთხების ხორცსაც, რომელიც თითქოსდა განიდან ჩამოიტანეს. ვაჭრები ყველაფერს უარყოფენ.

* * *

**ცეცხლის ტორნადო მოულოდნელი აღმოჩნდა ავსტრალიელებისთვის ფილმის გადაღების დროს**

უიშვიათესი და ყველაზე საშიში ბუნებრივი მოვლენა იყო სულ რაღაც სამას მეტრზე გადასაღები მოედნიდან და მან ყურადღება მიიპყრო დიდი ხმაურით. ჩვეულებრივად ცეცხლის ტორნადოს შეიძლება თვალყური ადევნონ სულ რაღაც სამი წუთის განმავლობაში, მაგრამ კინოს მუშაკებს გაუმართლათ — ისინი ტკბებოდნენ ცეცხლის სვეტის ხილვით თითქმის ერთი საათის განმავლობაში და იღებდნენ მას.



# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 25 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ — ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული №1 სალიცენზიო ობიექტზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №1 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | [illegible] | I [illegible] | II [illegible] | | | |
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 340 | [illegible] | 6150 | 3075 | 3075 | [illegible] | 370 064 | 74 213 |
| | | [illegible] | [illegible] | [illegible] | 282 | [illegible] | 640 | 320 | 320 | | | |
| | | | | | | [illegible] | 60 | 30 | 30 | | | |
| | | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 3040 | 1020 | 1020 | | | |
| | | | | | | [illegible] | 60 | 30 | 30 | | | |
| | | | | | | [illegible] | 1800 | 1260 | 540 | | | |
| | | | [illegible] | [illegible] | 370 | [illegible] | 900 | 450 | 450 | | | |
| | | | | | | [illegible] | 2500 | 1750 | 750 | | | |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |
| | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

◉ წყალბურთი

# თბილისის „ლიგამუსი“ და სხვები

**უკვე გაუწყეთ, რომ წყალბურთში საქართველოს ჩემპიონმა „ლიგამუსი — თბილისმა“ საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ ევროპის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამივე შეხვედრა მოიგო და შესარჩევ ჯგუფში მოხვდა, სადაც მერვედფინალში გასასვლელად ხუთ მეტოქეს დაუპირისპირდება. მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა: საფრანგეთის „მარსელი“, დანიის „სლაგელსე“, შვეიცარიის „კრეუზლინგენი“ და შვედეთის „იარფელა“. სამივე შეხვედრა მოიგო და C ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა „მარსელმა“. B და D ჯგუფებში, შესაბამისად, საკვალიფიკაციო ეტაპის მეორეადგილოსნები — „კრეუზლინგენი“ და ბელარუსის „ვიტბიში“ იასპარეზებენ.**



**ჯგუფებში შესარჩევი ტურნირი 26 სექტემბერს აიღებს სტარტს.**

**A ჯგუფი.** ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98“, ათენის (საბერძნეთი) „ვოულიაგმენი“, უნგრეთის „ეგერი“, საქართველოს „ლიგამუსი — თბილისი“, ვოლგოგრადის (რუსეთი) „სპარტაკი“, ჰოლანდიის „შუურმანი“.

**B ჯგუფი.** საფრანგეთის „მონპელიე“, პირეოსის (საბერძნეთი) „ოლიმპიაკოსი“, ბელგრადის (სერბეთი) „ცრვენა ზვეზდა“, ხორვატეთის „დუბროვნიკი“, შვეიცარიის „კრეუზლინგენი“.

**C ჯგუფი.** იტალიის „ბრეშია“, ესპანეთის „ბარსელონეტა“, ყაზანის (რუსეთი) „სინთეზი“, ნოვი სადის (სერბეთი) „ვოივოდინა“, საფრანგეთის „მარსელი“.

**D ჯგუფი.** რუმინეთის „ორადეა“, სეგედის (უნგრეთი) „ზეტონი“, ბელგრადის (სერბეთი) „პარტიზანი“, სტამბოლის (თურქეთი) „გალათასარაი“, ბერლინის (გერმანია) „შპანდაუ 04“, ვიტებსკის (ბელარუსი) „ვიტბიში“.

გუნდები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს — შინ და გარეთ. თითოეული ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო მერვედფინალში გავა. შეხვედრები 9 და 20 მარტს გაიმართება, მეოთხედფინალური ორთაბრძოლები 17 აპრილსა და 1 მაისს ჩატარდება, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალი 31 მაისსა და პირველ ივნისს მედლების მფლობელებს გამოავლენს. შარშან ფინალში იტალიურმა „პრო რეკომ“ 11:8 (4:1, 2:3, 3:3, 2:1) სძლია ხორვატეთის „პრიმორიე რიეკას“ და პირველი ადგილი დაიკავა (მესამე ადგილისთვის პაექრობაში ზაგრების (ხორვატეთი) „მლადოსტმა“ უნგრეთის „ვაშაშს“ მოუგო). 2012-2013 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას მედლების ახალი მფლობელები ეყოლება, რადგან წინა გათამაშების პრიზიორები შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

**A ჯგუფის კალენდარი:**

**26 სექტემბერი.** „ეგერი“ — „ლიგამუსი“, „ვოულიაგმენი“ — „სპარტაკი“, „შუურმანი“ — „ვასპო-98“.

**6 ოქტომბერი.** „ლიგამუსი“ — „შუურმანი“, „ვასპო-98“ — „ვოულიაგმენი“, „სპარტაკი“ — „ეგერი“.

**20 ოქტომბერი.** „სპარტაკი“ — „ლიგამუსი“, „ეგერი“ — ვასპო-98““, „ვოულიაგმენი“ — „შუურმანი“.

**14 ნოემბერი.** „ლიგამუსი“ — „ვასპო-98“, „ვოულიაგმენი“ — „ეგერი“, „შუურმანი“ — „სპარტაკი“.

**28 ნოემბერი.** „ვოულიაგმენი“ — „ლიგამუსი“, „ეგერი“ — „შუურმანი“, „სპარტაკი“ — „ვასპო-98“.

**19 დეკემბერი.** „ლიგამუსი“ — „ვოულიაგმენი“, „შუურმანი“ — „ეგერი“, „ვასპო-98“ — „სპარტაკი“.

**9 იანვარი (2013 წ.).** „ვასპო-98“ — „ლიგამუსი“, „ეგერი“ — „ვოულიაგმენი“, „სპარტაკი“ — „შუურმანი“.

**23 იანვარი.** „ლიგამუსი“ — „სპარტაკი“, „შუურმანი“ — „ვოულიაგმენი“, „ვასპო-98“ — „ეგერი“.

**6 თებერვალი.** „შუურმანი“ — „ლიგამუსი“, „ვოულიაგმენი“ — „ვასპო-98“, „ეგერი“ — „სპარტაკი“.

**27 თებერვალი.** „ლიგამუსი“ — „ეგერი“, „სპარტაკი“ — „ვოულიაგმენი“, „ვასპო-98“ — „შუურმანი“.

**ლექსო ცინცაძე**

◉ კალათბურთი

# ქართველთა ამბები



**სანაკრებო ციებ-ცხელების შემდეგ ქართული საკალათბურთო ცხოვრება თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება — ახლოვდება მორიგი რეგულარული სეზონი, რომელიც მრავალ საინტერესოს გვპირდება.**

სუპერლიგის სტარტამდე ერთი თვით ადრე საყურადღებოდ გვესახება ჩვენს კლუბებთან და ლეგიონერებთან დაკავშირებული სიახლეები, რომლებსაც დღეს სიამოვნებით გაგაცნობთ.

მოგეხსენებათ, თბილისის „არმია“ წლეულს ზედიზედ მეორედ ითამაშებს ევროჩელენჯის ჯგუფურ რაუნდში, სადაც მას მეტოქეობას ბელგიის „ანტვერპენი“, ისრაელის „ჰაპოელ ჰოლონი“ და გერმანიის „ტელეკომ ბონი“ გაუწევენ.

ბუნებრივია, ქვეყნის წამყვანი კლუბიდან ლეგიონერთა დამრტყმელი ხუთეულის წასვლის შემდეგ მისმა მესვეურებმა, ანუ თავდაცვის სამინისტროს ახალმა შეფებმა სათანადო შევსებაზეც იზრუნეს, რასაც კოტე ტუღუშის გუნდში ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრების ლაშა გამყრელიძისა და ლაშა ფარღალავას, აგრეთვე „სოხუმის“ ამერიკამოვლილი გიგანტის გიორგი ჯგერენაიას ჩარიცხვა მოწმობს. თუმცა, ხმაურიანი საერთაშორისო ტრანსფერის გარეშე ძალოვანთა დაკომპლექტების პროცესს მაინც არ ჩაუვლია. საუბარია ოკეანისგაღმელ უკანახაზელ ლამეინ უილსონზე (დაიბადა 1980 წელს, სიმაღლე 204 სმ), რომელსაც შთამბეჭდავი ევროკარიერა გამოარჩევს. საფრანგეთის „შოლე“, „ვილერბანი“, „ნანსი“, იტალიის „კანტუ“, თურქეთის „ტელეკომი“, უკრაინის „ბუდიველნიკი“ და ბოლოს — ჩეხეთის „ნიმბურკი“ — ასეთია ფერადკანიანი ვეტერანის ნამსახურობის ნუსხა.

დარწმუნებულნი ვართ, გაგრძელება იქნება.

* * *

**ქართული დუელით გაიხსნება იტალიური საკალათბურთო სეზონი. დიახ, 22 სექტემბერს აპენინებზე იქაურ სუპერთასს ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკი“ და მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუ“ გაითამაშებენ.**

მოგეხსენებათ, სიენელებმა წლეულს დუბლი შეასრულეს, მათი მეტოქე კი სათასო ბატალიების ფინალისტია. აღსანიშნავია ისიც, რომ მალე ორივე ევროლიგაში ჩაებმება.

სამშობლოდან დაბრუნებულმა „ჯვაროსნებმა“ პრესტიჟული ჯილდოსათვის გასამართი ბრძოლის წინ ძალები საერთაშორისო ტურნირებში მოსინჯეს. აი, მათი პირადი მონაგარიც.

**მანუჩარ მარკოიშვილი**



**„სიტა დი კაორლეს თასი“. ნახევარფინალი.** „კანტუ“ — „ნიუ იორკ ფანტომსი“ 89:79. 7 ქულა. **ფინალი.** „კანტუ“ — „ბოლონია“ 73:71. 12 ქულა.

**ვიქტორ სანიკიძე**

**„კალიარის თასი“. ნახევარფინალი.** „მონტეპასკი“ — ლიუბლიანის „ოლიმპია“ 70:51. 7 ქულა. **ფინალი.** „ოლიმპიაკოსი“ — „მონტეპასკი“ 71:67. 12 ქულა.

დავძენთ, რომ მალე საქმეში 23 წლის გიორგი შერმადინსაც ვიხილავთ, რომელიც ისრაელში რამდენიმე დღის წინ ჩაფრინდა და თელ-ავივის ბენ-გურიონის აეროპორტში „მაქაბის“ ყვითელ მაისურებში გამოწყობილმა გულშემატკივრებმა გულთბილი დახვედრა მოუწყვეს.

**გიორგი შოთაძე**



◉ პერსპექტივა

# ქერის ორმოს ზღურბლთან

**არნემის „ვიტესის“ წლევანდელმა აღზევებამ — ეს პროვინციული კლუბი ჰოლანდიის „ერე — დივიზიონის“ ხუთი სასტარტო ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა — მასში სოლიდური ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივა გააჩინა.**

საამისოდ ბენილუქსელთა მფლობელი და პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კონკრეტულ საქმეზე გადავიდა და უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას რუსულ გიგანტ — კომპანია „გაზპრომთან“, რომლის ლოგოთიც დღემდე სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ და გელზენკირჰენის „შალკე“ თამაშობენ.







თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილოელთა შარშანდელი მოგება 35 პროცენტით გაიზარდა და 154 მილიარდი ევრო შეადგინა, სარფიანი გარიგების შემთხვევაში „ვიტესი“ საფუძვლიანი სპონსორული კაპიტალით უნდა მოღონიერდეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ჰოკეი

# ზოგი ჭირი მარგებელია

**როგორც მოგეხსენებათ, შარშან კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) სტარტი კარგა ხნით მოთამაშეთა გაფიცვამ გააჭიანურა. და აი, წლეულს პროფესიონალ ჰოკეისტთა ჯერი დადგა.**



ბუნებრივია, ნჰლ-ს ვარსკვლავთა ლოკაუტს უარყოფითთან ერთად გულშემატკივართა ნაწილისთვის დადებითი ფაქტორიც ახლავს თან, რადგან მათმა ნაწილმა კონდიციების შესანარჩუნებლად ევროპულ კლუბებში გადაბარგება გადაწყვიტა, ეს კი ძველი სამყაროს გუნდების მესვეურთათვის ყულაბის გამდიდრების ერთგვარ წყაროს წარმოადგენს — ყინულის დიდოსტატთა თამაშის სანახავად დარბაზებს ხომ დამატებით ათასობით ქომაგი მიაწყდება.

საუბარი ზოგადი რომ არ გამოგვივიდეს, ამ დღეებში განხორციელებულ რამდენიმე ტრანსფერს გავეცნოთ.

**ანჟე კოპიტარი** („ლოს ანჟელესი“) , სტენლის თასის მფლობელი — შვედეთის „მორა“. სხვათა შორის, იქვე ასპარეზობს მისი ძმა გასპარიც.

**იუსი იოკინენი** („კაროლინა“) — ფინეთის „კერპეტი“, სადაც 2001-2005 წლებში გამოსვლისას ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

**ილია კოვალჩუკი** („ნიუ ჯერსი“) — სანკტ-პეტერბურგის სკა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## სულთათანა

# თბილისის უკანასკნელი ტრუბადური!..

**წელიწადი გასულა, რაც გიზო ნიშნიანიძე დააკლდა საკუთარ ქალაქს — რა თქმა უნდა მთელს საქართველოსაც, მაგრამ პირველ რიგში თბილისს, ვერის უბანს, სადაც 31 წლის წინ მიგვიწვია პაემანზე და ის „პაემანი ვერაზე“ დღესაც გრძელდება...**



ერთი გაზეთის რედაქციაში შემოვიდა, რედაქტორს ხუმრობაგაშვებით შესჩივლა — მიდიან, და მიდიან ჩემი ძმაკაცები, პროფესიონალ ნეკროლოგისტად ვიქეციო და მაგიდაზე ფურცელი დაუდო...

გამოვეცნაური, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი — მამაჩემსაც კარგად იცნობდა, მაინც, ძია მოსეს შვილთაშვილი ვარ-მეთქი...

გულწრფელად გაიხარა, მომიკითხა, კაი ძმაკაცივით სალამ-ქალამი გამიბა. აკი თავად ამბობს „პაემანში“ — „თბილისელს, თბილისელის გასაცნობად შუა კაცი არ სჭირდებაო“ — დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა, ამის ნიჭიც ჰქონდა ცხონებულს...

იქნებ თქვენი წიგნი მისახსოვროთ-მეთქი, „ვინაგლე“ — „კი ძმაო“ და მეორე დღესვე დამირეკა, ვაშლოვანის ქუჩაზე მომაკითხა თავის მანქანით და მანქანაშივე წამიწერა — **ჩვენი „ბიბლიური“ მოსეს შთამომავალს, ახალ ვერელს — ძველი ვერელისგან...**

მას შემდეგ დავმეგობრდით, მართალია უფრო ხშირად ტელეფონით ვკონტაქტობდით, მაგრამ მაინც მეგობრობა ერქვა ჩვენს ურთიერთობას და ნაჩუქარი წიგნი სამაგიდოდ კი არა, სასთუმლის წიგნად მექცა — ძილის წინ, როგორც წესი, ალალბედზე გადავშლი ხოლმე და ვტკბები ნაღდი ქალაქელების „ლანდებთან ლაციცით“...

თბილისის პირველი ტრუბადური თუ ხარფუხელი იოსებ გრიშაშვილი იყო, ვინც მთელი შემოქმედება თბილისს მიუძღვნა, მეორე, ვერელი გიზო ნიშნიანიძეა!

მაშ რატომ უკანასკნელიც?

სადღაა თბილისი — უბანი უბანს აღარა ჰგავს და ქალაქი ქალაქს! მაშ ვინ და რაღას უნდა უმღეროს მომავალში?..

მართლაც — **„ალაგებულ სცენას ჰგავს შენი ქალაქი, დღეს აქ სხვა სპექტაკლი გადის“...**

კიდევ კარგი, რომ ვერ მოესწარ, შენს საყვარელ ვერაზე გეი-პარადს!..

ჰოი, ბედის ირონიავ, სწორედ ფილარმონიიდან, შენი ვარსკვლავიდან დაიწყეს ეს „სპექტაკლი“ — მრცხვენია უკვე ჩემი ქალაქელობისაც და ვერელობისაც, ბატონო გიზო!..

თუმცა, იქნებ მოხდეს სასწაული და ჩვენს შთამომავლებს შენმა „პაემანმაც“ შეურხიოს მიძინებული გენეტიკური კოდი და თბილისმა მეტნაკლებად მაინც დაიბრუნოს შენი თაობის ქალაქის ის რაინდული სული და კოლორიტი, რომელსაც სიცილით, იუმორით, მაგრამ მაინც აშკარად მისტიროდი და მეც, სიცილთან ერთად, ხშირად ჯავრის გორგალიც მეჩხირება ხოლმე ყელში ამ დიდი სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული წიგნის კითხვისას. წიგნის, რომელიც, გარკვეულწილად თბილისის ისტორიაც არის, მისი დასაბამიდან დღემდე და ერთნაირად ძვირფასია, თბილისელისთვის თუ არათბილისელისთვის, ქართველისთვის თუ არაქართველისთვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „პაემანმა“ დროის გამოცდას უკვე გაუძლო!..

ისე, თუ სიკვდილია, ბატონო გიზო, შენისთანა სიკვდილი უნდა ინატროს კაცმა — ახლობელ-მეგობართა წრეში, ხელში სასმისით და ბაგეზე ლექსით, სადღეგრძელოთი!

დღეს გიზო ნიშნიანიძის წლისთავია. ანუ, ქრისტიანული ადათით ბოლო, აუცილებელი რიტუალი შესრულდება მის საფლავზე — იქ საუკუნო მშვიდობა შენს სულს და აქ მრავალჟამიერი შენს ნაგრამს...

დავით მხეიძე

## ხსოვნა

# გენო ჩიქვინიძე

ქართველ მშენებელთა რიგებს სრულიად მოულოდნელად გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, ცნობილი მშენებელ-ინჟინერი, საუკეთესო მეგობარი **გენო ჩიქვინიძე**. მთელი თავისი ცხოვრება ბატონმა გენომ გაატარა უმწიკვლოდ, დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

გენო ჩიქვინიძემ 1959 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო „მთავართბილმშენის“ სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად. მისი ხელმძღვანელობით აშენდა არაერთი საცხოვრებელი სახლი. შემდეგ ბატონი გენო მუშაობდა თბილისის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ჯერ მთავარ ინჟინრად, მერე სამმართველოს უფროსად.

გარკვეული პერიოდის შემდეგ გენო ჩიქვინიძე დაინიშნა საქართველოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად. მისი ხელმძღვანელობით ეს ორგანიზაცია როგორც ერთიანი დამკვეთი მრავალი წლის განმავლობაში, წარმატებით ახორციელებდა მშენებლობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აშენდა მრავალი მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი ობიექტი.

ბატონი გენო ჩიქვინიძე იყო შესანიშნავი ხელმძღვანელი, მაღალპროფესიული სპეციალისტი. ის დიდი პასუხისმგებლობით და წარმატებით ასრულებდა თავის მოვალეობას. მისი შრომა არაერთხელ იქნა აღნიშნული მთავრობის მაღალი ჯილდოებით. მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად, იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ბატონი გენო ჩიქვინიძე იყო საოცრად გამორჩეული პიროვნება, საუკეთესო მეგობარი, მზრუნველი მამა, ბაბუა. მისი ასე მოულოდნელი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ყველასთვის — ოჯახისთვის, მეგობრებისთვის და საერთოდ მთელი საზოგადოებისთვის.

მეგობრების ჯგუფი

---

**გივი მესხიშვილი, გივი გორგოშიძე, რამაზ ქაცარავა, ომარ კიკნაძე, ანზორ ჩიქოვანი, გურამ ონაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება, ცნობილი მშენებელ-ინჟინერი**

**გენო ჩიქვინიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

## კვალი ნათელი

# ალექსანდრე ჩიკვაშვილი

საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, რ.ვეფხვაძის სახელობის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია, კ.ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს რადიაციულ ონკოლოგთა და რადიოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რადიაციული ონკოლოგიის ღვაწლმოსილი მუშაკი, მედიცინის აკადემიური დოქტორი **ალექსანდრე მიხეილის ძე ჩიკვაშვილი**.



ყველას მოაკლდება მისი სითბო და სიყვარული. წავიდა ჩვენგან დიდი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, მაღალი დონის პროფესიონალი, მეცნიერი და ორგანიზატორი. დავკარგეთ მოსიყვარულე, ბრძენი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი.

ბატონი ალექსანდრე დაიბადა 1943 წლის 23 ივლისს ძველ თბილისურ ოჯახში. 1960 წელს იგი შევიდა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო 1966 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1976 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება.

1967-1977 წლებში იგი მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი. 1977 წლიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში ჰემობლასტოზების განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, სხივური თერაპიის განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, პროფესორ რ.ვეფხვაძის სახელობის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ამავე დროს იგი იყო ფანასკერტელის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამედიცინო ინსტიტუტის რადიაციული ონკოლოგიის რეზიდენტურის კურატორი.

ბატონი ალექსანდრე არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, იყო საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის წევრი, საქართველოს რადიაციულ ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, სამეცნიერო ჟურნალების „საქართველოს ონკოლოგიის“ და „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

2003 წელს ბატონი ალექსანდრე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით ონკოლოგიის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისათვის.

... წავიდა ჩვენგან საქართველოზე შეყვარებული მამულიშვილი, ნაღდი თბილისელი, მოსიყვარულე მეუღლე, საყვარელი მამა და ბაბუა, პატივცემული ექიმი, მეგობარი და დაგვიტოვა მარადიული სევდა.

მომავლის იმედი არ დაუკარგავს, ფარ-ხმალი არასდროს დაუყრია, წინ მიისწრაფოდა და ნათელ მომავალს შენატროდა.

მისი ცხოვრება სამაგალითოა ყოველი ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის. სამაგალითოა მისი ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება, რომელიც ასე ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის პიროვნებას.

მისი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა, რომელიც არასოდეს დაბერდება და სიყვარული, რომელიც არასოდეს მოკვდება. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მრავალრიცხოვანი კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

---

**საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, რ.ვეფხვაძის სახელობის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია, კ.ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს რადიაციულ ონკოლოგთა და რადიოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რადიაციული ონკოლოგიის ღვაწლმოსილი მუშაკი, მედიცინის აკადემიური დოქტორი**

**ალექსანდრე მიხეილის ძე ჩიკვაშვილი**

**ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მრავალრიცხოვანი კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს.**

---



**მეგობრები და მეზობლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი, მშვენიერი ქალბატონი**

**გულიკო ვიქტორის ასული ბაღათურია**

**გამოსვენება 20 IX, 14 სთ. მის. პეკინის 19, I სადარბაზო.**

---

**მადონა მგელაძე, დათო, თამუნა კარტოზიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გიორგი ვაშაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ცისანა, თათული, ქეთევან (პუსუნა) დოლიძეები, ნანა ნამგალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გიორგი ვაშაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ზურაბ, ჯულია, თეა, ნესტან, რუსუდან, ლევან მაჩაიძეები ოჯახებით იუწყებიან და მწუხარებას გამოთქვამენ**

**ანგი მაჩაიძის**

**გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 18, 19 IX, 17 სთ. დაკრძალვა 20 IX, 14 სთ. ფანასკერტელის 15 ა.**

## ინფორმაცია

# კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აფხაზური მხარის მიმართვას განიხილავს

**კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აფხაზური მხარის პრობლემებით დაინტერესდა და ამ საკითხზე სტამბულში შეხვედრა მიმდინარეობს, რომელსაც ქართული ეკლესიის დელეგაციაც ესწრება, — ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა.**

**— საკითხი დაახლოებით ასე დგას — აფხაზური მხარე ითხოვს გარკვეულ თავისებურებებს, რაც ამ ეპარქიისთვის იქნება აუცილებელი და მათ ამ თხოვნით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართეს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, როგორც დედა ეკლესიამ, თავი ვალდებულად ჩათვალა, აფხაზური მხარის პრობლემებით დაინტერესდეს. აფხაზები ამბობენ, რომ 20 წელია, მათთან საქართველოს და, შესაბამისად, ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვერ ხორციელდება და აქვთ გარკვეული მოსაზრებები, რაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომდე მიიტანეს, — განაცხადა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა.**

**ამასთან, პატრიარქის მდივნის თქმით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დღეიდან ქართულ ეკლესიასთან მოლაპარაკებებს იწყებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს აფხაზურ მხარესთან მიმართებაში.**

ინტერპრესნიუსი

## დაიჯესტი

### სტრესის ბარომეტრი



**სიზმარი იმის ნიშანია, რომ ადამიანის სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლას იწყებს, — ეს დასკვნა ამერიკელმა სპეციალისტებმა გამოიტანეს, რომლებმაც მოხალისეებს 2011 წლის 11 სექტემბრის შემდეგ „სიზმრების დღიურებში“ ჩანაწერების გაკეთება სთხოვეს.**

მოხალისეები დღიურებში არა მარტო სიზმრებს აღწერდნენ, არამედ იმასაც აღნიშნავდნენ, თუ რამდენ ხანს უსმენდნენ რადიოს ან ტელევიზორს უცქერდნენ ტრაგედიის დღეებში, ასევე რამდენი ხნის მანძილზე საუბრობდნენ ამ თემაზე ახლობელ მეგობრებთან.

აღმოჩნდა, რომ ვიდრე სიზმრებში ნანახი რეალიების ამსახველი სიუჟეტები „გადიოდა“, ანუ ჩამოშლილი, ალმოდებული და კვამლში გახვეული შენობები, ფანჯრებიდან გადმომხტარი ადამიანები და ა.შ., კაცი კვლავაც მძაფრად აღიქვამდა განცდილს, ამდენად ფსიქიკურ წონასწორობას ვერ ილდგენდა. ხოლო როცა ძილში გრძნობები — შიში, განრისხება, სინანული და ა.შ. ჩნდებოდნენ, თავის ტვინი სტრესული მდგომარეობიდან თანდათან გამოსვლას იწყებდა.

სტრესული მდგომარეობიდან უფრო ადვილად ისინი გამოდიოდნენ, ვინც ტრაგედიის შემდეგ ახლობლებთან დიდი ხნის მანძილზე ურთიერთობდა, ხოლო ფსიქიკური რეაბილიტაციისთვის გაცილებით მეტი დრო იმათ სჭირდებოდათ, ვისაც ნანახ-განცდილის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობა არ ჰქონდა.

### „უბედური ევროპელები“

**პერსპექტიულ გამოკვლევათა ჰამბურგის ფონდმა იმის გარკვევა სცადა, თუ ვინ ცხოვრობს ევროპაში კარგად და ვინ — ვერც მაინცდამაინც დაიკვეხნის ლაღად ყოფნას. საამისოდ ფონდის წარმომადგენლებმა კონტინენტის 13 ქვეყანაში 15 ათასი კაცი გამოკითხეს, რის შემდეგ სპეციალისტებმა „ევროპელთა ბედნიერების რეიტინგი“ შეადგინეს.**

„უბედურ ევროპელთა“ აბსოლუტური ლიდერები, გამოკითხვის შედეგად, რუსეთელები არიან: აღმოჩნდა, რომ ცხოვრებით კმაყოფილია მხოლოდ მათი 37 პროცენტი. დანარჩენ თორმეტ ქვეყანაში თავისი ცხოვრებით კმაყოფილია გამოკითხულთა ნახევარი და მეტი პროცენტი. ამ მაჩვენებლით მე-12 ადგილზე აღმოჩნდნენ პოლონელები (50 პროცენტი). შედარებისთვის აქვე აღვნიშნავთ, რომ მყუდრო „მურაბა“ დანიაში თავს ბედნიერად მიიჩნევს გამოკითხულთა 96 პროცენტი (!) და ამ მაჩვენებლით ევროპაში მას ბადალი არ ჰყავს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, უბედნიერეს ევროპელთა სიაში ეკონომიკურად არცთუ წარმატებული საბერძნეთის მოქალაქეები არიან 80-პროცენტიანი მაჩვენებლით! ასე, რომ როგორც ჩანს, მატერიალური კეთილდღეობა ცხოვრებით კმაყოფილებას სულაც არ ნიშნავს. ისე კი, გამოკითხვაში მონაწილე ყველა ქვეყანაში აბსოლუტურად ერთნაირი კრიტერიუმები აღმოჩნდა ბედნიერების დონის განმსაზღვრელი. კერძოდ, ყველა ქვეყანაში ქალები მამაკაცებზე უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს, ახალგაზრდები — პენსიონერებზე მეტად ლაღობენ სიცოცხლით, სოფლის მცხოვრებნი კი ქალაქელებზე უფრო კეთილგანწყობილნი არიან ყველას მიმართ და, ალბათ, არც არავის გაუკვირდება, რომ შეყვარებული წყვილები ყველა დანარჩენზე უფრო ბედნიერნი არიან,

„ბედნიერების შკალაზე“ კი გამოკითხული ევროპელები ასე განლაგდნენ: მესამე ადგილზე გავიდნენ იტალიელები (79 პროცენტი), შემდეგ ფრანგები (77 პროცენტი), ჰოლანდიელები და ბრიტანელები (72-72 პროცენტი), შვეიცარიელები (71 პროცენტი), ესპანელები (68 პროცენტი), ავსტრიელები (63 პროცენტი), გერმანელები (61 პროცენტი) და თურქები (61 პროცენტი).



### სამოთხის გარგარი



**ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სიმბოლოდაა მიჩნეული ჩინეთში გარგარი, ცისქვეშეთში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სამოთხის ბაღებში სწორედ გარგარის ხეები იზრდება, სადაც ყველა ჭეშმარიტი ბუდისტის სული ხვდება.**

„მთავარი მებაღე“, რომლის მოვალეობას სამოთხეში ქალღმერთი სი ვან მუ ასრულებს, სამი ათას წელიწადში ერთხელ (რადგან სამოთხის გარგარის ხეები ნაყოფს იშვიათად ისხამენ), ჯადოსნური ხილის მოსავალს კრეფს, რომლითაც ყველა ღმერთს უმასპინძლდება. ამბობენ, რომ სწორედ ამას უნდა უმადლოდნენ ღმერთები თავიანთ უკვდავებას.

თანამედროვე მეცნიერებმა კი დაადგინეს, რომ, მართლია, გარგარს მთლად უკვდავების მონიჭება არ შეუძლია, სამაგიეროდ, დაბერების გადაწევის თვისება აქვს, საქმე ის არის, რომ იგი დიდი ოდენობით ანტიოქსიდანტების შემცველია, რომლებიც ჯანს ნაოჭებისგან იცავენ, გულს მუშაობას უადვილებენ და ონკოლოგიური დაავადების წარმოშობას ხელს უშლიან.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### 1 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ხელისუფლება საარჩევნო უბნებზე შუქს გამორთავს!!!

როგორც „ალიამ“ ექსკლუზიურად შეიტყო სანდო წყაროსგან, 1 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, საღამოს 8 საათზე ჩაქრება შუქი სულ რაღაც რამდენიმე წუთით და შემდეგ ისევ მოვა. ამ დროს საარჩევნოდ მოხდება საარჩევნო ბიულეტენების გაყალბება.

„ალია“

#### „ივანიშვილის მომხრე თუ ხარ, ამ ხელისუფლებისგან დამნაშავედ მოიაზრები“



— ამბობს ვაჟა-ფშაველას მუზეუმის აწ უკვე ყოფილი დირექტორი და სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ პიარ-მენეჯერი ლელა რაზიკაშვილი და საუბრობს მისი სამსახურიდან განთავისუფლების რეალურ მიზეზებზე. „მაშინ დანაშაული ის იყო, რომ კერძო საკუთრება გვქონდა და უნდოდათ მისი ჩამორთმევა, ახლა დანაშაულია ის, რომ ბიძინა ივანიშვილის მომხრე ხარ.

„ასავალ-დასავალი“

#### მესტიის ტყეებში საარჩევნოდ სპეცრაზმს ამზადებენ

რამდენიმე დღის წინათ სვანეთში ჩასულ „რეზონანსის“ კორესპონდენტს ადგილობრივმა მოსახლეობამ მესტიასთან ახლოს ტყეში სპეცრაზმის მომზადების შესახებ აცნობა. მათი ინფორმაციით, რაიონში სპეცრაზმი არჩევნებისთვის შემოიყვანეს და ამით ხალხზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას ცდილობდნენ.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**სვანს ხუთი გოგო გასათხოვარი ჰყავს და ღმერთს ეხვეწება:**
**— ღმერთო, ორი გამათხოვებინე და სამს დაგიკლავ.**

* * *

**პოლიციელმა ქალი გააუპატიურა.**
**პოლიციელი გაუპატიურებისთვის გაასამართლეს,**
**ქალი — პოლიციელისთვის გაწეული წინააღმდეგობისთვის.**

* * *

**გურიაში „უცნობის“ კონცერტია. გამოაკრეს აფიშა — „ვინცხა“.**

* * *

**ორი გველი წევს გვერდიგვერდ. ერთი ეკითხება მეორეს:**
**— ჩვენ შხამიანები ვართ?**
**— რავი, ალბათ! — პასუხობს მეორე.**
**— აუ, დამერხა, ენაზე ვიკბინე!**

* * *



**შვილი ეკითხება დედას:**
**— რატომა მამა მელოტი?**
**— იმიტომ რომ ბევრს ფიქრობს. — პასუხობს დედა.**
**— შენ რატო გაქვს ამდენი თმა?**

* * *

**მეგრელი სამსახურს იწყებს და ეკითხებიან:**
**— კომპიუტერი და ინგლისური თუ იცი?**
**მეგრელი პასუხობს:**
**— მეგრული და კალკულატორი არ გამოდგება?**

* * *

**— დედა, მამა მორცხვი იყო?**
**— კი.**
**— რაში გამოიხატებოდა?**
**— მორცხვი რომ არ ყოფილიყო ახლა 5 წლით დიდი იქნებოდი.**

* * *

**გურულს ეკითხებიან:**
**— ჭადრაკს რატომ არ თამაშობ?**
**— რეიზა, ძამა და, დედოფალს რომ ვკიდებ ხელს, ჟრუანტელი მიარს ტანში.**

* * *

**— ჩემი ცოლი ზოოპარკში აღარ მომყვება.**
**— რატომ?**
**— ბოლოს რომ ვიყავით, მაიმუნებმა თხილი გადმოუყარეს.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24